თომას დე ვაალი

საქართველოს არჩევანი

მომავლის დაგეგმვა გაურკვევლობის პერიოდში

Carnegie Endowment
for International Peace

თომას დე ვაალი

საქართველოს არჩევანი

მომავლის დაგეგმვა გაურკვევლობის პერიოდში

CARNEGIE ENDOWMENT
FOR INTERNATIONAL PEACE
WASHINGTON DC ▪ MOSCOW ▪ BEIJING ▪ BEIRUT ▪ BRUSSELS

© 2011 Carnegie Endowment for International Peace ყველა უფლება დაცულია

კარნეგის ფონდს არ გააჩნია უწყებრივი პოზიცია საზოგადოებრივი პოლიტიკის საკითხებზე;
აქ გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ არის აუცილებელი, ემთხვეოდეს ფონდის,
მისი თანამშრომლებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების თვალსაზრისს.

ამ ანგარიშის ელექტრონული ასლი ინგლისურ და ქართულ ენებზე იხ.:
CarnegieEndowment.org/pubs

Carnegie Endowment for International Peace
1779 Massachusetts Avenue, NW
Washington, D.C. 20036
Phone: + 202 483 7600
Fax: + 202 483 1840
CarnegieEndowment.org

საქართველო და მისი მეზობლები

სარჩევი

წინასიტყვაობა	1
შესავალი	2
სახელმწიფოს მშენებლობა საქართველოში	5
ეკონომიკა 2011 წელს	10
სიღარიბე საქართველოში	15
ერთპარტიული სახელმწიფო?	20
საგანგებო წესრიგი	24
საქართველოს ეკონომიკური განვითარების მოდელები	27
ევროპული არჩევანი	31
საქართველო, ევროპა და თავისუფალი ვაჭრობა	35
დასკვნა	40
შენიშვნები	47
ავტორის შესახებ	51
კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდი	53

წინასიტყვაობა

საქართველო შედის გარდამავალ პერიოდში, როცა 2012–2013 წლებში დაგეგმილია საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. ამის შემდეგ ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება. ახლანდელმა მთავრობამ დიდ წარმატებებს მიაღწია ფუნქციონირებადი სახელმწიფოს შენების საქმეში, სახელმწიფოსა, რომელიც მოქალაქეებისთვის ამარტივებს სერვისის სფეროს. მაგრამ საქართველოს ეკონომიკური სურათი სულ უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდება.

მმართველ ელიტას, რომელსაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უდგას სათავეში, ქვეყანაში არ ჰყავს სერიოზული პოლიტიკური ოპოზიცია, მაგრამ დგას სირთულის წინაშე, რომ მოირგოს ახალი იმიჯი. ამ მთავრობას აკლია ანგარიშვალდებულება და საშიშია, საქართველო ერთპარტიულ სახელმწიფოდ არ გადაიქცეს.

წლების განმავლობაში არაფორმალური და იმპროვიზაციული მეთოდებით მართვის შემდეგ საქართველოს მთავრობამ უნდა შექმნას ინსტიტუტები და აირჩიოს გრძელვადიანი განვითარების მოდელი. სამი იდეა საქართველოს სხვადასხვა მხარეს ეწევა. ერთი გახლავთ კონსერვატიული, ტრადიციული „ძველი საქართველოს“ კონცეფცია, რომელიც პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ ცოტა რამეს თუ გვთავაზობს ეკონომიკური ან პოლიტიკური მოდელისთვის. არსებობს მეორე იდეა, რომელიც წარმოიდგენს საქართველოს მსოფლიო ინვესტიციებისთვის გახსნილ მეორე „სინგაპურად“. ამ იდეას ბევრი მომხრე ჰყავს, განსაკუთრებით, კვლავაც გავლენიანი ლიბერტარიანელების გუნდიდან, რომელთაც სჯერათ, რომ საქართველოში რაც შეიძლება ნაკლები რეგულაციები უნდა იყოს. მაგრამ უცხოური ინვესტიციები საქართველოში ამჯერად კლებულობს და ეს მოდელი ვერ გადაჭრის ღარიბი სოფლებისა და უმუშევრობის პრობლემებს.

ევროპის კავშირი გვთავაზობს მესამე გზას. ეს არის *ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება*, რომელიც საქართველოს პირდება პრივილეგირებულ პირობებს ევროკავშირის ერთიან ბაზარზე შესასვლელად. ამის სანაცვლოდ საქართველომ ინსტიტუციური რეფორმები უნდა განახორციელოს. ამ გზაზე საქართველოს მმართველმა ელიტამ უნდა დათმოს ორივე, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება. მაგრამ ევროკავშირმა ეს იდეა ვერ წარმოადგინა სათანადოდ კარგად და მას დასჭირდება მეტი უცხოური ტექნოლოგიური დახმარების მოწოდება, რათა შეამსუბუქოს ტვირთი, რომელიც ამ რეგულაციებს მოჰყვება. თუმცა, ის სთავაზობს საქართველოს გრძელვადიანი განვითარებისა და ევროპული ნავთსაყუდელის იმედს.

შესავალი

საქართველო პოლიტიკური ტრანსფორმაციის პერიოდში შედის. ამას შეიძლება ვუწოდოთ მშფოთვარე ათწლეულის მესამე ფაზა. პირველი ფაზა 2004 წლიდან 2008 წლამდე გაგრძელდა. ეს იყო შემდგომი პერიოდი საქართველოს ვარდების მშვიდობიანი რევოლუციისა, რომელმაც ხელისუფლებაში ახალი თაობა მოიყვანა. მეორე ფაზა უკავშირდება 2008 წლის აგვისტოს ომს რუსეთთან და მის შემდგომ საერთაშორისო ძალისხმევას საქართველოს სტაბილიზაციისთვის. ახლა ქვეყანამ უნდა გაიაროს 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. ამის შემდეგ ამოქმედდება ახალი კონსტიტუცია, რომელიც შეცვლის საქართველოს პოლიტიკურ სტრუქტურას. ეს იქნება გამოცდა ვარდების რევოლუციის თაობისთვის – აქ უნდა გამოჩნდეს გარდაიქმნება თუ არა და როგორ გარდაიქმნება ის.

მომდევნო წლებში ეკონომიკის მდგომარეობა დიდად განსაზღვრავს იმას, რამდენად სტაბილური იქნება ქვეყანა და წარმატებული – მთავრობა. ეკონომიკური სიტუაცია ძალიან გაურკვევლად გამოიყურება. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას ირკვევა, რომ ქართველთა უმრავლესობის მთავარი საწუხარი ეკონომიკური საკითხებია, უმეტესად დასაქმება და მზარდი ფასები. ამ პრობლემებს ისინი რუსეთთან კონფლიქტზე და აფხაზეთის და სამხრეთი ოსეთის გამო დავაზე წინ აყენებენ[1]

საქართველოს ეკონომიკამ ძალიან კარგად იმუშავა 2004–2008 წლებში. რეალური შემოსავლები საგრძნობლად გაიზარდა და უცხოურმა ინვესტიციებმა დაიწყო შემოდინება. თუმცა, ამ სწრაფმა ტრანსფორმაციამ ბევრ სოციალურ ჯგუფს აუარა გვერდი და სიღარიბეს თუ უმუშევრობას მყარად აქვს გადგმული ფესვები საზოგადოების დიდ ნაწილში. ბოლო დროს კი საქართველოს სუპერლიბერალური ეკონომიკის ბრწყინვალებაც გაფერმკრთალდა, რადგან პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა იკლო და ბევრი ბიზნესი საგადასახადო სამსახურის მხრიდან შევიწროვებას უჩივის. ამ დროისთვის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსთვის გამოყოფილი პირდაპირი უცხოური დახმარების დიდი ნაწილი დახარჯულია. მართალია, 2011 წლის დასაწყისში ზრდის მაჩვენებლები კარგი იყო, მაგრამ ეკონომიკას აქვს მნიშვნელოვანი სავაჭრო დეფიციტი და იგი დამოკიდებულია გარეშე ფაქტორებზე. „მთავრობას არ აქვს საკუთარი რესურსები და ყველაფერი უნდა შემოვიდეს ან კერძო ინვესტიციებიდან, ან უცხოური ტექნიკური დახმარებიდან," – ამბობს ერიკ ლივნი, ეკონომისტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის სკოლიდან[2].

საქართველოს სჭირდება ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი მოდელი. მან უნდა შექმნას ინსტიტუტები და უნდა შეებრძოლოს პრობლემებს, რომლისთვისაც ჯერ კარგად არ გაუსწორებია თვალი, ძირითადად, სიღარიბის მაღალ დონეს, უმუშევრობას და ექსპორტის მწირ შესაძლებლობებს. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და მის მთავრობას იდეები ყოველთვის უხვად ჰქონდათ, მათ ერთი კი არა რამდენიმე მოდელი შესთავაზეს ქვეყანას. პრეზიდენტს ნათქვამი აქვს, რომ ის აპირებს საქართველო „აქციოს ამ რეგიონის შვეიცარიად, სინგაპურის ელემენტებით," მაგრამ ისიც თქვა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს ევროკავშირში გაერთიანებისთვის. ამ ორი ძალიან განსხვავებული მიზნის განცხადებით, ის ურთიერთგამომრიცხავ სათქმელს გვაწოდებს. როცა პრეზიდენტი სინგაპურის მოდელს მოუხმობს, ის ლაპარაკობს ქვეყნის გადაქცევაზე „ბიზნესის ცენტრად" საკმაოდ არარეგულირებადი ეკონომიკით. ევროპეიზაცია სხვანაირ გზას სთავაზობს საქართველოს, სვლას რეგულირებებით, სტანდარტების დადგენით და ბრიუსელის აღიარებას ნავთსაყუდელად. შიგადაშიგ ევროკავშირში შემავალი ლიბერალური ეკონომიკის მქონე ესტონეთის მოხმობა, გვიჩვენებს იმის გაცნობიერებას, რომ საჭიროა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. მაგრამ თვით ეს ფაქტი ესტონეთის მოხსენიებისა უკვე იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად შორსაა საქართველო იმ ძირეული ინსტიტუციური და ეკონომიკური გარდაქმნებისგან, რომელიც ესტონეთმა ბოლო ოცი წლის განმავლობაში განახორციელა.

საქართველოს სჭირდება ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი მოდელი და მან უნდა შექმნას ინსტიტუტები.

ეს გახლავთ როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური საკითხი. საქართველოს ახალგაზრდა სამთავრობო ელიტა, რომელიც 2004 წელს მოვიდა ხელისუფლებაში, კარგად გაუმკლავდა ბევრ რეფორმას და იგი ამაყობს გადაწყვეტილებების მიღების გაბედული სტილით. „ჩვენ ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ და უნდა ავანაზღაუროთ ყველაფერი," – ამბობს გიგა ბოკერია, პრეზიდენტის მთავარი სტრატეგი და ამჯერად საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი[3]. მმართველი ელიტა ძირითადად ისევ რევოლუციურ განწყობაზე რჩება. ეს პატარა დინამიკური ჯგუფი ადამიანებისა ნაკლებად არის დაინტერესებული იმით, რომ ეთათბიროს ქართველ ექსპერტებს ან ფართო საზოგადოებას. თუმცა, საქართველო ბუნებით ისევ პლურალისტური ქვეყანაა, ახლა ეს პატარა ჯგუფი მართავს სისტემას, რომელსაც აკლია საშინაო შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმი.

აშკარაა, რომ ძალაუფლების ამგვარი კონცენტრაცია მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში საქართველოს ლიდერებს აკისრებს ბრძნულად მოქმედების დიდ პასუხისმგებლობას. ეს აგრეთვე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს დასავლელ პარტნიორებს, ერთადერთ მხარეს, რომელსაც ძლიერი საშინაო შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის არარსებობისას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მთავრობის გადაწყვეტილებებზე. ევროკავშირს, აქვს მეტი საშუალება, სერიოზული მოტივაციის და მკაცრი წინაპირობების მეშვეობით, ევროპისკენ უბიძგოს საქართველოს. მაგრამ შეიძლება ეს შანსი გავუშვათ ხელიდან. ბევრი ქართველის დამოკიდებულება ევროპისადმი თბილია, მაგრამ ძალიან ბუნდოვანი. ამასობაში ისევ არსებობს ძლიერი ჯგუფი, რომელიც მიიჩნევს, რომ ევროკავშირი საქართველოსთვის ბიუროკრატიული მახეა. ამ ულტრალიბერალური ჯგუფის ერთი მთავარი მოაზროვნე, კახა ბენდუქიძე, ისე შორს წავიდა, რომ „მოღალატეები" უწოდა იმ ადამიანებს, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს უფრო მეტად დაახლოებას ბრიუსელის რეგულაციების სისტემასთან.

მიუხედავად საქართველოს პრობლემებისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქვეყანა ბევრი თვალსაზრისით, დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით მაინც არის პოზიტიური მაგალითი. ეს ქართველების დამსახურებაა, რომ საქართველოს *შეუძლია* რამდენიმე სტრატეგიული მიმართულებიდან აირჩიოს ერთი და არ არის მიჯაჭვული „ისევ იმავე“ სწორხაზოვან ტრაექტორიას. მთავრობას კვლავაც აქვს უნარი, გაგვაკვირვოს და გამოიჩინოს პოზიტიური ინიციატივები. მაგრამ, წინა წლებთან შედარებით, ახლა უფრო მეტად დგას საქართველო ნამდვილი დილემის წინაშე, რომლის გადაწყვეტაც განსაზღვრავს, თუ როგორ განვითარდება ქვეყანა. საძირკველი ჩაიყარა, მაგრამ სანამ აირჩევენ როგორ სახელმწიფოს ააშენებს საქართველო, არსებობს რეალური საფრთხე, რომ გაკეთებული კარგი საქმე წახდება და ნეგატიური ტენდენციები დამკვიდრდება.

სახელმწიფოს მშენებლობა საქართველოში

საქართველოს აქვს ნონკომფორმიზმის ხანგრძლივი ტრადიცია. გეოგრაფიით, ენით და კულტურით ბევრი მეზობლისგან განსხვავებულ საქართველოს აქვს ძლიერი და განსაკუთრებული ტრადიციები, რომლებსაც ქვეყანა ზოგჯერ იზოლაციამდე და გაბედულ ექსპერიმენტებამდე მიჰყავს. საბჭოთა პერიოდის ბოლოს საქართველოს საბჭოთა კავშირში ერთ–ერთი ყველაზე წარმატებული და შედარებით ლიბერალური მხარის რეპუტაცია ჰქონდა. შემდეგ, 1990–იან წლებში, პოსტსაბჭოთა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ, ქვეყანა ექსტრემალური ნაციონალიზმის და იზოლირების დამანგრეველ გზაზე დააყენა. ცენტრალური ხელისუფლება დაემხო, დაიწყო ომი სამხრეთ ოსეთში და ქვეყნის დიდი ნაწილი დაიკავეს კრიმინალურმა სამხედრო დაჯგუფებებმა. გამსახურდიას შემდეგ, 1992 წელს, საბჭოთა ეპოქის ვეტერანი, ედუარდ შევარდნაძე, კიდევ ერთხელ ჩაუდგა ქვეყანას სათავეში. მან დაიმორჩილა გასამხედროებული ჯგუფების ლიდერები და დანგრევის ზღვარზე მყოფი სახელმწიფოს ახალფეხადგმული დამოუკიდებლობა გადაარჩინა. მან მიაღწია სამშვიდობო შეთანხმებას სამხრეთ ოსეთში, მაგრამ ბრძოლა წააგო აფხაზეთში. შევარდნაძის მმართველობის პერიოდი გამოირჩეოდა თავისუფალი პრესით და სიცოცხლით სავსე პარლამენტით, მაგრამ აგრეთვე სიღარიბით და მყარად ფესვგადგმული კორუფციით.

2003 წლის ნოემბერში, აღმოჩნდა რა ვარდების მშვიდობიანი რევოლუციის პირისპირ, შევარდნაძე გადადგა. სახალხო პროტესტის ეს ტალღა არჩევნების გაყალბებამ გამოიწვია. რევოლუციის ყველაზე გამორჩეული ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი, შევარდნაძის ყოფილი პროტეჟე, მაშინ დიდმა უმრავლესობამ საქართველოს პრეზიდენტად აირჩია. მაშინ ის, სახელმწიფოს ყველაზე ახალგაზრდა მეთაური ევროპაში, მხოლოდ 36 წლის იყო. 2004 წლის 24 იანვარს, ინაუგურაციის წინა დღეს, სააკაშვილი საქართველოს მეფის, დავით აღმაშენებლის (მეთერთმეტე საუკუნე), საფლავს ეწვია დასავლეთ საქართველოში. მას ამ სიმბოლური ნაბიჯით იმის თქმა უნდოდა, რომ ის ახალი მიხეილ აღმაშენებელი იყო. მან განაცხადა, „დავით მეფის საფლავზე ჩვენ ყველამ უნდა ვთქვათ: საქართველო იქნება გაერთიანებული, ძლიერი, კვლავ გამთლიანდება და გახდება ერთიანი, ძლიერი სახელმწიფო“[4].

ახლა სააკაშვილი ამტკიცებს, რომ შევარდნაძისგან მან „არშემდგარი სახელმწიფო“ ჩაიბარა. 2011 წლის მარტში მან ვაშინგტონში, აშშ–ს დედაქალაქში, აუდიტორიას უთხრა:

„2003 წელს საქართველო კლასიკური არშემდგარი სახელმწიფო იყო. ბიუროკრატია საზოგადოების ყველა ინიციატივას ასამარებდა. ქვეყანაში იყო დამაბეჩავებელი სიღარიბე, ბევრი გაუმართავი ინფრასტუქტურა და კორუფციისგან ბორკილ დადებული ეკონომიკა. როგორც იცით, მშვიდობიანმა სახალხო რევოლუციამ ხელისუფლებაში მოიყვანა ახალგაზრდა რეფორმატორთა გუნდი, რომლის წინამძღოლობაც მე მხვდა წილად. მაშინ საქართველოში ისეთი კატასტროფული მდგომარეობა იყო, რომ სახელმწიფოს შენების დაწყება თითქმის არაფრიდან მოგვიხდა.“[5]

სავარაუდოდ, სააკაშვილის ყველაზე რადიკალური რეფორმები მისი პრეზიდენტობის პირველ წელს განხორციელდა. დააპატიმრეს ზოგიერთი ოლიგარქი, რომელიც აკონტროლებდა ეკონომიკას შევარდნაძის ეპოქაში. ხშირად მათ ტელეკამერების წინ აპატიმრებდნენ. ციხეში მოხვედრის შემდეგ მათი უმრავლესობა თანხმდებოდა საპროცესო გარიგებაზე; თავისუფლების სანაცვლოდ ისინი მილიონობით დოლარს თავაზობდნენ სახელმწიფო ბიუჯეტს. ამ ამბების და ფიქსირებული 12 პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადის შემოღების შედეგად, მოკრებილი გადასახადების რაოდენობამ სწრაფად იმატა, ისე, რომ 2006 წლის ივლისისთვის ბიუჯეტი რვაჯერ გაიზარდა და $3 მილიარდი შეადგინა. 2004 წლის ზაფხულში ყბადაღებული ავტოინსპექციის ყველა თანამშრომელი – დაახლოებით 13 000 კაცი – დაითხოვეს. მის მაგივრად კი ბევრად უფრო პატარა, უკეთესად ანაზღაურებადი, უფრო პატიოსანი ორგანიზაცია შეიქმნა. თავად პოლიციის ძალები უკიდურესად შეამცირეს და ოფიცრები ხელახლა დაიქირავეს, უფრო მარალი ანაზღაურებით. საბაჟო სამსახური სრულიად შეიცვალა. ყოველდღიური კორუფციის ფაქტობრივად აღმოფხვრა ისევ რჩება შთამბეჭდავ მაგალითად პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვის. ახლა რიგითი ქართველების უმრავლესობა აღარ იხდის ქრთამს მანქანით სიარულისას, უნივერსიტეტში ჩარიცხვისას, ბინის ყიდვისას ან პასპორტის აღებისას. ძალიან შთამბეჭდავია, რომ ახლახანს გამოკითხვაში მონაწილე ქართველების 98–მა პროცენტმა თქვა, რომ ისინი არავის აძლევენ ქრთამს. ქართველების უმრავლესობა აფასებს მთავრობას სხვადასხვა მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, თუმცა, ბევრი ახლა ამ მომსახურებების გაძვირებას უჩივის.[6]

ყოველდღიური კორუფციის ფაქტობრივად აღმოფხვრა ისევ რჩება შთამბეჭდავ მაგალითად პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვის.

ანტიკორუფციულმა რეფორმებმა და გამარტივებულმა საგადასახადო სისტემამ ეკონომიკას უფრო საიმედო საყრდენი შეუქმნა. პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მომენტალურად იმატა და 2007 წელს $2 მილიარდს გადააჭარბა (შემდეგ ომის გამო ამ მაჩვენებელმა ისევ დაიწია). რეგულაციების შემცირებამ საქართველოს მსოფლიო ბანკის ერთ-ერთ გლობალურ ინდექსაციაში ბრწყინვალე პოზიცია მოუპოვა; ამჯერად საქართველოს *ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსით* მეთორმეტე ადგილი უჭირავს.

თუმცა, ეკონომიკური რეფორმის სარგებელი საზოგადოებაში არათანაბრად განაწილდა. უცხოური ინვესტიციები ძირითადად ეკონომიკის ისეთ სექტორებში წავიდა, როგორიცაა ბანკები და უძრავი ქონების ბიზნესი. ამიტომ ცოტა სამუშაო ადგილი შეიქმნა. პენსიები და სოციალური კეთილდღეობის სუბსიდიები ისევ დაბალი დარჩა. 2007 წელს სოციალურ–ეკონომიკურმა უკმაყოფილებამ პოლიტიკურ კრიზისთან ერთად

(داااპატიმრეს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელმაც ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულა ყოფილი პარტნიორები მთავრობიდან) თბილისში ქუჩის საპროტესტო აქციები გამოიწვია. 2007 წლის 7 ნოემბერს პოლიციამ უმოწყალოდ დაარბია მანიფესტანტები. სააკაშვილმა პოლიტიკური კონფრონტაცია თავის სასარგებლოდ მოატრიალა და ვადამდელი არჩევნები დანიშნა 2008 წლის იანვარში, რომელშიც მცირე უპირატესობით გაიმარჯვა. სააკაშვილის მეორე ვადის დასაწყისში სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა განდგომილ რეგიონებთან, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, დაკავშირებული კრიზისი. ბოლოს, 2008 წლის აგვისტოში, ეს კრიზისი რუსეთთან ომში გადაიზარდა. ამ კრიზისის პირისპირ მდგარი სააკაშვილი მხოლოდ 40 წლის იყო და გუნდიც ძალიან ახალგაზრდა ჰყავდა: 36 წლის პრემიერ–მინისტრი, 33 წლის ფინანსთა მინისტრი, 31 წლის საგარეო საქმეთა მინისტრი და 29 წლის თავდაცვის მინისტრი. მთავრობის გადახალისება ახალი, პოსტსაბჭოთა თაობის დაწინაურებით, არის საქართველოში ე.წ. „მენტალური რევოლუციის“ შედეგი.[7] უცხოელ პარტნიორებს ახლა მუშაობა უწევთ ოფიციალური პირების ჯგუფთან, რომლებიც ყოველმხრივ გამოირჩევიან, არიან ახალგაზრდები, აქვთ კარგი განათლება და მათი უმრავლესობა კარგად ლაპარაკობს ინგლისურად. სააკაშვილმა ფაქტობრივად გამოტოვა ერთი თაობა, როცა მთავრობა ოციდან ორმოც წლამდე ადამიანებით დააკომპლექტა.

სწრაფმა ცვლილებებმა მოიტანა ახლებური აზროვნება მთავრობაში. იგივე ცვლილებები კარგად მოერგო იმპროვიზაციას და არასწორ ნაბიჯებს, რამაც, ნაწილობრივ განაპირობა 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოში. მთავრობას სათანადო ინსტიტუციონალიზმი აკლია. წლების განმავლობაში სააკაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვა იყვნენ პასუხისმგებელი ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე. თანაც იმის ფონზე, რომ დანიშვნების და გათავისუფლებების მბრუნავ ციკლში, კაბინეტის წევრებმა ბევრჯერ გაცვალეს პორტფელები. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სააკაშვილს ჰყავდა ხუთი პრემიერ–მინისტრი, შვიდი თავდაცვის მინისტრი, ექვსი საგარეო საქმეთა მინისტრი და ექვსი ფინანსთა მინისტრი. ზოგიერთი სამთავრობო დანიშვნა დღემდე გაოცებას იწვევს. მაგალითად, 2010 წლის ივნისში 28 წლის გამოუცდელი ვერა ქობალიას დანიშვნამ ეკონომიკის მინისტრად, დიდძალი კრიტიკა გამოიწვია. მთავრობაში დანიშვნამდე ქობალია ძირითადად მამამისის საცხობში მუშაობდა ვანკუვერში, კანადაში. სწორედ ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე შეხვდა მინისტრობამდე რამდენიმე თვით ადრე ქობალია სააკაშვილს.

აქამდე ცოტა რამ გაკეთდა იმისთვის, რომ შექმნილიყო პროფესიონალ საჯარო მოხელეთა კორპუსი. საერთაშორისო გამჭვირვალობის ანგარიშში ვკითხულობთ:

> „საჯარო სამსახურს აკლია დამოუკიდებლობა, რადგან მინისტრებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საჯარო მოხელეების დაქირავების, დაწინაურების და, განსაკუთრებით, დათხოვნის პროცესზე. მართალია, არის გარკვეული სამართლებრივი სირთულეები უმიზეზოდ დათხოვნასთან დაკავშირებით, მაგრამ ისინი პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება. ჯერ ისევ ჩვეულებრივი ამბავია, რომ ახალდანიშნული მინისტრი ითხოვს თანამშრომლების დიდი ნაწილის შეცვლას, მათ შორის ყველაზე დაბალი რანგის მოხელეების შეცვლასაც. ეს პრობლემა იქიდან იღებს სათავეს, რომ საქართველოს მთავრობას სჯერა – სახელმწიფო სამსახურში მოქნილობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფო მოხელეთა დამოუკიდებლობა, დაცულობა ან ხანგრძლივი პროფესიული განვითარება.“[8]

ამგვარი არაფორმალური პოლიტიკის მქონე კულტურაში, წარმატება და ხელმოცარულობა ლიდერის პიროვნებაზეა დამოკიდებული. 2008 წლის ომის უბედურებების შემდეგ სააკაშვილმა ერთგვარ პოლიტიკურ აღორძინებას მიაღწია. ბევრი წინასწარმეტყველებდა, რომ რუსეთთან კონფლიქტის და სამხრეთ ოსეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების საშინელი დამარცხების შემდეგ სააკაშვილს გადადგომა მოუწევდა. მაგრამ მან გაიმყარა თავისი პოზიცია საქართველოს ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსისა. 2010 წლის გამოკითხვამ აჩვენა, რომ პრეზიდენტი, დიდი უპირატესობით, გამოკითხულთა 56 პროცენტის აზრით, ყველაზე სანდო პოლიტიკური ფიგურაა ქვეყანაში. ამ მონაცემების მიხედვით, მისმა რეიტინგმა რვა პროცენტით მოიმატა 2009 წელთან შედარებით.

სააკაშვილის პოლიტიკური იღბლის შემოტრიალებას სამი მთავარი მიზეზი აქვს. ერთი გახლავთ მისი პოლიტიკური ნიჭი. მისი ოპონენტებიც კი აღიარებენ, რომ სააკაშვილი კვლავაც არის საქართველოს ყველაზე დინამიკური პოლიტიკოსი. 2010 წლის ბოლოს და 2011 წლის დასაწყისში, პრეზიდენტის კომუნიკაციის უნარი დაადასტურა ორმა დიდმა საჯარო ღონისძიებამ, როცა იგი რამდენიმე საათის განმავლობაში შეკითხვებს პასუხობდა. ერთი გახლდათ სატელევიზიო გადაცემა პირდაპირი ეთერით და მეორე – პარლამენტისადმი მისი ყოველწლიური მიმართვის შემდეგ გამართული, დებატები. საპარლამენტო მიმართვაში, აგრეთვე, გამოჩნდა, რომ პრეზიდენტს აქვს გადმოცემის კარგი უნარი და პოლიტიკური განრიგის შედგენის ნიჭი. ამჯერად მან ამბიციური მიზნების ახალი სერია წარმოადგინა, რომელთაც ქვეყანამ 2015 წლისთვის უნდა მიაღწიოს. საქართველოს *სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდის* პოლიტიკის ანალიტიკოსი არჩილ გეგეშიძე ამბობს, რომ პრეზიდენტი და მისი გარემოცვა მუდმივად ისახავენ გეგმებს და ყველა სხვას საკმაოდ უკან ჩამოიტოვებენ. „ნებისმიერ მომენტში ისინი ორი ან სამი ნაბიჯით წინ არიან. სხვა ყველა რეაგირებს მოვლენებზე, ისინი კი პროაქტიურები არიან“.

საქართველოში ბევრი ოპოზიციური პარტიაა, მაგრამ ყველა მათგანი მცირერიცხოვანია, გამიჯნული არიან ერთმანეთისგან და, როგორც წესი, ერთი ლიდერის მიერ იმართებიან.

კიდევ ერთი მიზეზი პრეზიდენტის ხელახალი აღზევებისა არის ოპოზიციის არაეფექტური მუშაობა. საქართველოში ბევრი ოპოზიციური პარტიაა, მაგრამ ყველა მათგანი მცირერიცხოვანია, გამიჯნული არიან ერთმანეთისგან და, როგორც წესი, ერთი ლიდერის მიერ იმართებიან. 2009 წელს, როცა სააკაშვილის მხარდაჭერის რეიტინგი ძალიან დაბალი იყო, განსაკუთრებით, თბილისში, რადიკალურმა ოპოზიციამ ქუჩის პროტესტის ტაქტიკა აირჩია და ასე დაკარგა ამომრჩევლების დიდი ნაწილის მხარდაჭერა. მმართველი ელიტა მოთმინებით დაელოდა პროტესტის დამთავრებას და უფრო გაძლიერებული გამოძვრა ამ ამბებიდან. თავად პრეზიდენტმა იხუმრა თავისი ოპოზიციის საქმიანობაზე და თქვა, რომ ის რომ ოპოზიციაში ყოფილიყო, ბევრ სირთულეს შეუქმნიდა მთავრობას.

2011 წელს სააკაშვილის საპირწონედ ოპოზიციას არ ჰყავს ისეთი კაცი, როგორიც იყო სააკაშვილი 2003 წელს. დღეს საქართველოში არის ორი ყველაზე ეფექტური ოპოზიციონერი პოლიტიკოსი – ირაკლი ალასანია და გიორგი თარგამაძე, ორივეს საკმაოდ მოკრძალებული რეიტინგი აქვს ამომრჩევლებში. ალასანია სააკაშვილის პრეზიდენტობის ხანაში იყო წარმატებული დიპლომატი და მომლაპარაკებელი. 2010 წლის თბილისის მერის არჩევნებში მან ხმების 19 პროცენტი მოიპოვა და წააგო იმჟამინდელ მერთან,

გიგი უგულავასთან. ასე რომ, ჯერჯერობით მან ვერ მოახერხა გამხდარიყო საჯარო პოლიტიკოსი. თარგამაძე ხელმძღვანელობს ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას და პარლამენტის პატარა ოპოზიციურ ფრაქციას, რომელშიც 12 დეპუტატია გაერთიანებული. მას ჭრელი პოლიტიკური ბიოგრაფია აქვს – მუშაობდა სადავო თუ საეჭვო რეპუტაციის მქონე რამდენიმე ქართველ პოლიტიკოსთან: ასლან აბაშიძესთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილ ლიდერთან, და ოლიგარქ ბადრი პატარკაციშვილთან.

უმნიშვნელოვანესია, რომ ოპოზიციას უფრო ნაკლები რესურსების მოხმარება შეუძლია, ვიდრე მთავრობას. პრეზიდენტი ეფექტურად აკონტროლებს სამ ყველაზე პოპულარულ და შეძლებულ სატელევიზიო არხს და მათი ახალი ამბების პროგრამებს. ოპოზიციური პარტიები ჩივიან, რომ მათ ძნელად მიუწვდებათ ხელი დაფინანსებაზე და, რომ ბიზნესმენებს ეშინიათ მათი მხარდაჭერა. 2010 წლის მაისის ადგილობრივ არჩევნებში მმართველმა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ალასანიას ალიანსთან (ალიანსი საქართველოსთვის) შედარებით ასჯერ მეტი ფული დახარჯა.[9]

მესამე მიზეზი სააკაშვილის მდგომარეობის გაუმჯობესებისა გახლავთ ის დახმარება, რომელმაც საქართველოს ეკონომიკა დაიცვა ორმაგი შოკისგან, რუსეთის ომისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისისგან. საქართველომ თავისი დასავლელი მეგობრებისგან მიიღო ფინანსური სტაბილიზაციის დიდი პაკეტი. 2008 წლის ოქტომბერში ბრიუსელში ჩატარებულმა დონორთა საერთაშორიო კონფერენციამ საქართველოს დახმარების და დაბალპროცენტიანი სესხის $4,5 მილიარდიანი პაკეტი გამოუყო. პაკეტში წილი შეიტანეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ევროკავშირმა, მსოფლიო ბანკმა, აზიის განვითარების ბანკმა და სხვებმა. ამ თანხის დიდი ნაწილი ორი თვით ადრე უკვე დახარჯული იყო აღდგენით სამუშაოებზე და კონფლიქტის ზონიდან დევნილების დასახმარებლად. მაგრამ შეგროვილი თანხა მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდა და დაეხმარა მთელ ეკონომიკას თავის გატანაში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა $250 მილიონი გამოჰყო უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტის სტაბილიზაციისთვის.

ბრიუსელში დაპირებული ფულის გარდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ამოწურული რეზერვების შესავსებად საქართველოს დაუმტკიცა $750 მილიონიანი სარეზერვო პროგრამა. ამ დახმარების და სესხის პაკეტმა შეარბილა გლობალური ეკონომიკური კრიზისის ყველაზე უარესი ზეგავლენა საქართველოზე (შედარებისთვის, 2009 წელს მეზობელ სომხეთში მთლიანი შიდა პროდუქტი 14 პროცენტით შემცირდა). ზოგიერთი დახმარება გაგრძელდება. საქართველომ კარგი შეფასება მიიღო შეერთებული შტატების *ათასწლეულის გამოწვევის* $295 მილიონიანი პროგრამის განხორციელებისთვის 2005–2010 წლებში. ეს თანხა, ძირითადად, ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაიხარჯა და, ალბათ, უზრუნველყოფს *ათასწლეულის გამოწვევასთან* კიდევ ერთ შეთანხმებას 2011 წელს. თუმცა, საქართველოს მთავრობა, 2008 წლის მსგავსად, ვეღარ მიიღებს დიდ თანხებს. შესაძლებელია, რომ სამაშველო პროგრამამ მხოლოდ გადაავადა მძიმე ხანა საქართველოსთვის.

ეკონომიკა 2011 წელს

2011 წელს, სწორედ მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლება შედის პოლიტიკური ტრანსფორმაციის პერიოდში, სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობა უარესობისკენ მიდის.

2008 წელს მიღებული დახმარების პაკეტის უდიდესი ნაწილი დაიხარჯა. ამიტომ, ახლა საქართველოს მთავრობისთვის უმნიშვნელოვანესი საქმე ეკონომიკის ზრდის უზრუნველსაყოფად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა. როგორც ერთი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, „თითქმის ყველა ამბობს და ეთანხმება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის სასიცოცხლო აუცილებლობა, რათა საქართველო გადარჩეს და წარმატებით განვითარდეს.“ 2007 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა პიკს – $2 მილიარდს მიაღწია. თუმცა, 2008 წელს, კონფლიქტის ფონზე, ეს ინვესტიციები $1,5 მილიარდამდე შემცირდა და 2009 წელს – $658 მილიონამდე. 2010 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ 16 პროცენტით შემცირდა და $553 მილიონი შეადგინა.

ზოგიერთი სექტორი ვითარდება. ოდესღაც ქვეყანას ძალიან სერიოზული ენერგეტიკული პრობლემები ჰქონდა, მაგრამ იქმნება ძლიერი ჰიდროელექტრო სექტორი და ახლა საქართველოდან რუსეთშიც კი ხდება ჭარბი ენერგიის ექსპორტი. აგრეთვე მთავრობა დიდ ძალისხმევას ახმარს ტურისტული სექტორის განვითარებას. ამ დარგს, ენერგეტიკისგან განსხვავებით, ბევრი სამუშაო ადგილის შექმნა შეუძლია. ქალაქ ბათუმში განხორციელდა ამბიციური საამშენებლო პროგრამა. აგრეთვე დაგეგმილია სვანეთის მთიან რეგიონში სათხილამურო კურორტის განვითარება. თუმცა, ტურიზმი ძალიან არაპროგნოზირებადი სექტორია. ის, მთავრობის კონტროლის გარდა, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. სამაგალითოდ 2010–2011 წლების ზამთარი შეიძლება მოვიშველიოთ, როცა სვანეთში სათხილამურო სეზონისთვის საკმარისი თოვლი არ მოვიდა. 2011 წლის 11 თებერვალს პარლამენტისადმი მიმართვაში სააკაშვილმა იწინასწარმეტყველა, რომ ტურიზმში გარღვევა 2015 წლისთვის 5 მილიონ ტურისტს ჩამოიყვანს საქართველოში. მაგრამ პრეზიდენტს ის არ უთქვამს, რის საფუძველზე აკეთებს ასეთ ოპტიმისტურ პროგნოზს.

ეკონომიკის სხვა ტენდენციები ნეგატიურია. 2011 წლის დასაწყისში ინფლაციამ 13 პროცენტს გადააჭარბა. ბიუჯეტის დეფიციტი ისევ მაღალია – 10 პროცენტი. გრძელვადიანი ფისკალური პერსპექტივა დამძიმებულია 4 მილიარდზე მეტი საგარეო ვალით. დიდი ხანია საქართველოსთვის, ვალები სერიოზული პრობლემაა. ისევე, როგორც

სხვა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, საშინაო დანაზოგები აქაც ძალიან ცოტაა. 2010 წლის ბოლოს ქვეყნის საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 46 პროცენტი იყო. საგარეო ვალის დიდი ნაწილი კერძო პირთა ხელშია. 2008 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ კერძო ინვესტორებზე გასცა $500 მილიონის ღირებულების ხუთწლიანი ევრობონდები. ამ ფულიდან დაახლოებით $130 მილიონი უმალვე თავდაცვის სამინისტროს მოხმარდა. დანარჩენი თანხა კი სავალუტო რეზერვებში ჩაიდო. თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მთავრობა აიძულეს დაუყოვნებლივ უკან დაებრუნებინა ეს თანხა და 2009 წლის დასაწყისისთვის ეს ფული უკვე მთლიანად დახარჯული იყო. 2011 წლის მარტში მთავრობამ მოახერხა ამ ვალების 80 პროცენტზე მეტის გადახდა და *ჯ. ფ. მორგანისა* და *გოლდენ საქსის* დახმარებით გამოუშვა დოლარის ათწლიანი ბონდები. ამ ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ ნორმალური – 7,125 პროცენტი იყო. ამან საქართველო ამჯერად იხსნა მძიმე გადასახადისგან, მაგრამ გაზარდა მისი საერთო ვალი.[10]

საქართველოს ფისკალური პრობლემები და მწირი შემოსავლები ჩირქს სცხებს ქვეყნის, როგორც ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს რეპუტაციას.

დაგროვილი უცხოური ვალი დილემის წინაშე აყენებს საქართველოს მთავრობას – ერთი მხრივ, ვალის გასტუმრების გასაადვილებლად, მთავრობას ურჩევნია ქართული ვალუტის ლარის სიმყარის შენარჩუნება; მეორე მხრივ, ეს ზღუდავს ქვეყნის, ისედაც მოგრძალებულ, საექსპორტო პოტენციალს. *ეკონომისტის* ერთ–ერთი ავტორი წერს, „მთავრობისთვის რეალურ სირთულეს ქმნის ქვეყანაში არსებული უზარმაზარი დისბალანსი იმპორტსა და ექსპორტს შორის“.[11] ამჯერად იმპორტი ოთხჯერ აღემატება ექსპორტს. 2010 წელს საქართველოდან ექსპორტზე ძირითადად სამი პროდუქცია გაჰქონდათ: ფერო–შენადნობი, (რეექსპორტირებული) მანქანები და ჯართი.

საქართველოს ფისკალური პრობლემები და მწირი შემოსავლები ჩირქს სცხებს ქვეყნის, როგორც ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს, რეპუტაციას; ისევე, როგორც ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მეტი ფულის მოკრების მიზნით, მთავრობა გამუდმებით ავიწროვებს ბიზნესს. ამით აიხსნება ებრაელი ბიზნესმენის, რონი ფუქსის, ძალიან გახმაურებული საქმე, რომელიც 2011 წლის აპრილში ქრთამის შეთავაზების ბრალდებით დააკავეს. ფუქსი და მისი ადვოკატი ამბობენ, რომ ეს იყო მახე, რომელიც დაგეგმეს, რათა საქართველოს მთავრობას აღარ გადაეხადა საერთაშორისო არბიტრაჟის მიერ დაკისრებული დიდი კომპენსაცია.

ფუქსის საქმე – კორუფცია, მოქრთამვა თუ დაგებული მახე?

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, შემოსავლების გაზრდა და კორუფციის დაძლევა – სამივე საქართველოს მთავრობის პრიორიტეტთა ნუსხაშია. სწორედ ეს სამი საკითხი მტკივნეულად შეეჯახა ერთმანეთს ებრაელი ბიზნესმენის რონი ფუქსის საქმეში. 2011 წლის 1 აპრილს თბილისის სასამართლომ ფუქსი დამნაშავედ სცნო სტამბულში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლისთვის ქრთამის შეთავაზებაში და შვიდწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ფუქსი და მისი ადვოკატი აცხადებენ, რომ ამ საქმეში ბიზნესმენი მსხვერპლია. მათი თქმით, საქართველოს მთავრობამ ფუქსს მახე დაუგო, მას შემდეგ რაც მას და მის ბერძენ პარტნიორს არ გადაუხადეს არბიტრაჟით დაკისრებული $100 მილიონი.

ამ მეტად ჩახლართული საქმის პოლიტიკური და მორალური სიუჟეტი *ჯონ ლე კარეს* მოთხრობის სადარია. ეს საქმე 1990-იანი წლებში დაიწყო, როცა მღელვარე და ახლად გათავისუფლებულ საქართველოში ფუქსი ერთ-ერთი პირველი ინვესტორი იყო ნავთობსადენის პროექტით. 1996 წლისთვის საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე უფრო დიდი მოთამაშეები გამოჩნდნენ. საქართველოს მთავრობამაც *ბრითიშ პეტროლიუმის* სასარგებლოდ გააუქმა ამ სექტორში არსებული ყველა წინა კონტრაქტი, მათ შორის ფუქსის და მისი ბერძენი პარტნიორის იოანის კარდასოპულოსისაც. მათ კომპენსაცია მოითხოვეს, მაგრამ საქართველოს მომდევნო მთავრობებმა ანაზღაურებაზე უარი განაცხადეს. საბოლოოდ ბიზნესმენებმა საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართეს. 2010 წლის მარტში მსოფლიო ბანკთან არსებულმა საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრმა საქართველოს მთავრობას მოსარჩელისთვის $98 მილიონის გადახდა დააკისრა.[12]

საქართველოს მთავრობა ძალიან განარისხა იმან, რომ ათი წლის წინ წინა ადმინისტრაციის მიერ კონტრაქტის გაუქმებისთვის მას უნდა ეზღო. დააპირეს განაჩენის გასაჩივრება, მაგრამ 2010 წლის სექტემბერში სცადეს ჯიქურ მიდგომოდნენ საქმეს. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ავთანდილ ხარაიძემ, ფუქსი შეხვედრისთვის სტამბულში დაპატიჟა. ოთხსაათიანი დისკუსიის დროს ბევრი კონიაკი დაილია და ხარაიძემ ფუქსს გარიგებისკენ უბიძგა. როგორც ჩანს, ფუქსმა ხარიაძეს $7 მილიონი შესთავაზა, იმ პირობით, თუ ის და მისი პარტნიორი არბიტრაჟის დადგენილი სარგოდან $72 მილიონს მიიღებდნენ.

ერთი თვის თავზე ფუქსმა თავად საქართველოს პრემიერ მინისტრისგან მიიღო წერილი, რომლითაც მას საქართველოში ეპატიჟებოდნენ, რათა „საქმე მეგობრულად მოეგვარებინათ“. ბიზნესმენმა მიიღო მიწვევა და ჩაფრინდა ბათუმში, სადაც ის მაშინვე დააპატიმრეს კორუფციის ბრალდებით. სტამბულის შეხვედრა მახე გამოდგა, რომელიც ქართულმა მხარემ ფარულად გადაიღო.

ფუქსმა საქმის მოსაგებად ბრძოლა გადაწყვიტა. მან ორი წამყვანი დასავლელი ადვოკატი დაიქირავა. ერთი გახლდათ თეთრი სახლის ყოფილი იურისკონსულტი გრეგ ქრეიგი და მეორე ცნობილი ლონდონელი ადვოკატი ჯეფრი რობერტსონი, რომელთაც ფუქსის სახელით დაწერეს წერილი. ამ წერილში მოცემულია მომხდარის იურიდიულ შეფასება და ნათქვამია, რომ ხარაიძემ „მახე

დაუგო“ ფუქსს. ადვაკატები ამტკიცებენ, რომ ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება საქართველოზე *ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციით* დაკისრებულ მოვალეობებს. ფუქსის ადვოკატებმა ისიც განაცხადეს, რომ მათ კლიენტს ციხეში უთხრეს, რომ გაათავისუფლებდნენ, თუ უარს იტყოდა თავის სარგოზე.

ეს საკმაოდ ბნელი საქმეა. თბილისში მყოფი დიპლომატები ამბობენ, რომ როდესაც ფუქსი 1990-იან წლებში საქართველოში მუშაობდა, მას უნდა სცოდნოდა, რომ მოქმედებდა მეტად სარისკო და ბუნდოვან გარემოში. ისინი იმასაც ვარაუდობენ, რომ მას ალბათ ძალიან გაუჭირდებოდა სხვა ქვეყნის სასამართლოში მოქრთამვის ბრალდებისგან თავის დაცვა. როგორც არ უნდა იყოს, ფუქსის დაკავების გარემოებები და პრემიერ–მინისტრის პირადი მონაწილეობა მის მოწვევაში, ჩრდილს აყენებს საქართველოს ხელისუფლებას. საქმემ უკვე გამოიღო პოლიტიკური შედეგები: ისრაელის მთავრობის თხოვნით, გადაიდო ისრაელში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის ვიზიტი, რისი ერთ-ერთი მიზეზიც ფუქსის საქმე იყო.[13]

ჯანმრთელობაშელახულ და სამოც წელს გადაცილებულ ფუქსს ქართველმა მოსამართლემ განაჩენის გამოტანისას უთხრა, რომ მას აქვს უფლება მიმართოს პრეზიდენტ სააკაშვილს შეწყალებისთვის. ფუქსის ადვოკატი გვარწმუნებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფუქსს ბოლოს და ბოლოს გაათავისუფლებენ, საქართველოს მთავრობა ბიზნესმენის დაპატიმრების ფაქტის გამო, მაინც შეიძლება „წაგებული“ აღმოჩნდეს და კვლავაც დაეკისროს ჯარიმის გადახდა.

ამ ინციდენტმა უდავოდ უარყოფითად იმოქმედა საქართველოს მთავრობის იმიჯზე. ერთმა დასავლელმა დიპლომატმა თქვა: „მუდმივად ვეუბნებით, რომ შეიძლება ხარჯოთ ფული *ეკონომისტზე* და CNN-ზე ატრიალოთ რეკლამა, მაგრამ ამ გზით დაინტერესებული კაცი ბოლოს მაინც იმას ჰკითხავს აზრს, ვინც საქართველოში უკვე მუშაობს. თუ ამ ბიზნესმენებისგან ვერ მოისმინეს, რომ აქ არის ღია და პროგნოზირებადი ბიზნეს გარემო, სხვაგან წავა“.

ვლადიმერ პაპავა მუდმივად აკრიტიკებს ქვეყნის ეკონომიკურ კურსს, ხოლო მთავრობის, აშკარად, შიზოფრენიულ მიმართებას ბიზნესთან, ასე აჯამებს – „საქართველოს ეკონომიკის ფასადი ნეოლიბერალურია, შინაარსი კი – ნეობოლშევიკური.“[14] ადგილობრივი ბიზნესმენები ჩივიან, რომ, მიუხედავად ძალიან დაბალი გადასახადებისა, საგადასახადო პოლიცია ხშირად უწყობს მათ მოულოდნელ რეიდებს. თბილისში მცხოვრები ერთი დიპლომატი ამას „გადასახადების პარალელურ მოკრებას“ უწოდებს. ბიზნესმენების თქმით, საგადასახადო პოლიცია მათ უმნიშვნელო დარღვევებისთვის საშინელ ჯარიმებს აკისრებს. *საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო* ამ პრაქტიკას „საგადასახადო ტერორიზმად“ მიიჩნევს.[15] ისე გამოდის, რომ საქართველოს მთავრობის ზედმეტმა ძალისხმევამ, აღმოეფხრა გადასახადების გადაუხდელობა და საგადასახადო მაქინაციები, მეორე უკიდურესობამდე მიგვიყვანა. მსოფლიო ბანკის 2009 წლის ანგარიშში წერია:

> მართალია, ყველა აღიარებს, რომ ბოლო წლებში ბიზნესგარემო (გადასახადების, გართულებული ბიუროკრატიული პროცედურების, კორუფციის და სხვა თვალსაზრისითაც) გაუმჯობესდა, მაგრამ გადასახადების გაუმართავი ადმინისტრირებით მთავრობა ინვესტორებს კვლავაც უქმნის დაბრკოლებებს. ბიზნესის სფეროში არის ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ საგადასახადოს მესვეურები ძალიან აგრესიულად სთხოვენ გადასახადებს და ჯარიმებს ყველაზე კანონმორჩილ კომპანიებს. იმავდროულად საგადასახადო ძალიან აჭიანურებს საჩივრების განხილვას და დღგ–ს დაბრუნებას.[16]

2010-2011 წლებში ბევრი ბიზნესი ჩიოდა, რომ მთავრობა მათ საქმეებში ერევა. დევიდ ლი გახლავთ საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე და *მაგთიკომის* გენერალური დირექტორი. ამ კომპანიის მეწილეები ძირითადად შეერთებული შტატების მოქალაქეები არიან და ის ყველაზე დიდი კერძო გადამხდელია ქვეყანაში. ლი დადებითად აფასებს იმ რეფორმებს, რომლებმაც საქართველო ბოლო წლებში ბიზნესისთვის ხელსაყრელ ქვეყნად აქცია. ის ამბობს, „ჩვენ საკმაოდ წინ წავედით, უწინდელთან შედარებით, კორუფცია აღარ არის გავრცელებული. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ხელისუფლებას მოულოდნელად არ გამოვაცალოთ ნიადაგი ფეხქვეშ". იმავდროულად ლიმ გამოხატა აღშფოთება 2010 წელში მომხდარი ინციდენტების გამო, როცა ნიღბიანმა პოლიციელებმა მისი ორი თანამშრომელი დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. ლის თქმით, „ხშირია შემთხვევები, როცა ჩვეულებრივი ბიზნესის კომერციული დავები ხდება ბიზნესმენის დაპატიმრების და მასზე ზეწოლის მიზეზი." ის აგრეთვე იმასაც უჩივის, რომ საგადასახადო სისტემა არაადეკვატური და არაპროგნოზირებადი გახდა. მაგალითად, ის კანონი, რომ ახალი სააქციზო გადასახადის სახით მობილური კავშირგაბმულობის კომპანიებმა მთლიანი შემოსავლის 10 პროცენტი უნდა გადაიხადონ, ძალაში შევიდა 2010 წლის 1 სექტემბერს. ეს ნაბიჯი ლიმ შეაფასა, როგორც უპრეცენდენტო და განსაკუთრებით მიუღებელი მენეჯმენტის და მეწილეებისთვის; რადგან ის ფინანსური წლის შუაში ამოქმედდა, როცა ბიზნესგეგმები უკვე დამტკიცებული იყო.

ყველა დადებითად შეხვდა 2011 წლის დასაწყისში ახალი საგადასახადო ომბუცმენის, გიორგი პერტაიას, დანიშვნას, რომელსაც უნდა მოერიგებინა დავა ბიზნესებსა და საგადასახადოს მესვეურებს შორის. პერტაიამ, როგორც ამბობენ, გააუქმა დიდი ჯარიმა, რომელიც ფრანგულ ლუდსახარშ კომპანიას *კასტელს* ჰქონდა დაკისრებული. პერტაია, ომბუცმენობამდე, პრემიერ მინისტრის თანაშემწედ მუშაობდა და ახალ სამსახურში გადასვლისთანავე განაცხადა, რომ საქართველოს ბიზნესის პრობლემები გაზვიადებული იყო. თუმცა, ამ ფაქტებმა სკეპტიკოსები მაინც ვერ გადაარწმუნა.[17]

სიღარიბე საქართველოში

ზოგადი პარამეტრებით და თავის ბევრ მეზობელთან შედარებით, საქართველო ჯერ ისევ ღარიბი ქვეყანაა (2009 წელს აქ მსყიდველობითი უნარის პარიტეტი მთლიან შიდა პროდუქტზე ერთ სულ მოსახლეზე $4,774 იყო). ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ევროპული ქვეყნებიდან მხოლოდ მოლდოვაა საქართველოზე ღარიბი. ეკონომიკის უმნიშვნელო დაღმასვლამაც კი შეიძლება სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. 2010 წლის გამოკითხვაში რესპონდენტთა 25–მა პროცენტმა თქვა, რომ არ აქვს ოჯახის გამოკვებისთვის საკმარისი ფული; 42–მა პროცენტმა კი თქვა, რომ შეუძლია საკვების ყიდვა, მაგრამ არ რჩება ფული *ტანსაცმლისთვის. ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის* დაკვეთით ჩატარებული გამოკითხვისას რესპონდენტებმა შვიდ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხთა შორის, ექვსი ეკონომიკური პრობლემა დაასახელეს. გამოკითხულთა 61 პროცენტისთვის ყველაზე სერიოზული საწუხარი იყო დასაქმება და 39 პროცენტისთვის – ფასების ზრდა.

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2009 წელს

(საერთაშორისო დოლარში)



წყარო: მსოფლიო ბანკი

ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები



წყარო: საზოგადოების განწყობის თაობაზე გამოკითხვა ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის დაკვეთით ჩაატარა კავკასიის რესურსების კვლევის ცენტრებმა

უმუშევრობის ოფიციალური მაჩვენებელი დაახლოებით 16 პროცენტია, მაგრამ ეს არ მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ თავის გატანისთვის საკმარისი მიწათმოქმედების, უმნიშვნელო თვითდასაქმების ან სახელმწიფო დახმარებების შემყურე არიან. 2010 წლის ნოემბერში პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღიარა, რომ მთავრობის მონაცემების მიხედვით, „თბილისელების 30 პროცენტი სრულებით ან ნაწილობრივ უმუშევარია“ და ამ მაჩვენებელს „კატასტროფული“ უწოდა.[18] *კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრების* ბოლოდროინდელი გამოკითხვა უფრო მძიმე სურათს გვთავაზობს – დედაქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 27 პროცენტი მიიჩნევს, რომ მუშაობს სრული ან ნაწილობრივი დატვირთვით.

მსოფლიო ბანკის 2009 წლის სიღარიბის შეფასების ანგარიში გარკვეულწილად შუქს ჰფენს ამ მონაცემებს. მასში აღნიშნულია,

> მართალია, 2003 წლიდან მოყოლებული ეკონომიკაში საშუალო რეალური შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ამას დიდად არ უმოქმედია სიღარიბის შემცირებაზე. ამას ორი მთავარი მიზეზი აქვს. (1) 2003 წლიდან მოყოლებული ეკონომიკური და საჯარო სექტორის ყოვლისმომცველი რეფორმების შედეგად სამუშაო შემცირდა – უფრო მეტი სამუშაო ადგილი გაუქმდა, ვიდრე შეიქმნა. (2) მართალია, მშენებლობაში, საბანკო სექტორში, წიაღისეულის მოპოვებაში და სახელმწიფო სექტორში იმატა სამუშაო ადგილებმა და/ან ხელფასებმა. მაგრამ ამ სექტორებს დასაქმების საერთო ბაზრის მხოლოდ მცირედი წილი უჭირავთ“.[19]

ვარდების რევოლუციის შემდეგ უთანასწორობა ქალაქსა და სოფელს შორის გაღრმავდა. სოფლების დაუძლეველი სიღარიბე დღეს საქართველოს ყველაზე სერიოზული სოცალურ-ეკონომიკური პრობლემაა. მსოფლიო ბანკის გამოკითხვის თანახმად, სიღარიბეში მცხოვრებთა 60 პროცენტი სოფლელები არიან. რუსეთსა და თურქეთში

სამუშაოსთვის წასულ მრავალრიცხოვან მიგრანტთა უმეტესობასაც სოფლის მოსახლეობა ქმნის. დასაქმებულთა 55 პროცენტი სოფლის მეურნეობაში მუშაობს. მაგრამ ასეთი საქმიანობით, უმეტესწილად, მხოლოდ საკუთარი თავის შენახვა ხერხდება. ქალაქებთან შედარებით, სოფლად შემოსავლები გაცილებით ნელა იზრდება. სიღარიბე განსაკუთრებით სერიოზულია შიდა ქართლის, მცხეთა–მთიანეთის და კახეთის რეგიონებში.

სოფლების დაუძლეველი სიღარიბე დღეს საქართველოს ყველაზე სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა.

საქართველო ამაყობს თავისი სოფლის ტრადიციებით. ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ისევ სოფლად ცხოვრობს და ქალაქის ბევრი მაცხოვრებელი ინარჩუნებს კავშირს წინაპრების სოფელთან – აქვს იქ მიწა ან სახლი. საბჭოთა პერიოდში საბჭოთა კავშირის დიდ ნაწილს საქართველო ამარაგებდა საკვები პროდუქტებით. 1990–იანი წლების დასაწყისში მიწის პრივატიზაციით პატარა–პატარა ნაკვეთები დაურიგდა მილიონობით გლეხს. ეს იყო სამართლიანი და გონივრული პროექტი, რომელმაც ბევრი შიმშილს გადაარჩინა; მაგრამ, ამგვარი დანაწევრება არარენტაბელური, მხოლოდ თავის გატანაზე გათვლილი, ფერმერობისთვის იყო გამოსადეგი. მას შემდეგ, რაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, როგორც ჩანს, სიტუაცია გაუარესდა. 2002 წლიდან 2009 წლამდე დამუშავებული მიწის რაოდენობა 43 პროცენტით შემცირდა და ხორბლის წარმოება 199 000 ტონიდან 80 000 ტონაზე ჩამოვიდა.[20] მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ქართველი ცხოვრობს სოფლად, 2010 წელს მთავრობამ აგრარულ სექტორზე მთლიანი ბიუჯეტის 1 პროცენტზე ნაკლები – მხოლოდ 53 მილიონი ლარი – დახარჯა. ეს იმის ნახევარზე ნაკლებია, რაც ციხის სისტემისთვის გამოიყო. ამ ყველაფრის შედეგები შეიძლება ვნახოთ თბილისის სურსათის მაღაზიებში, სადაც უფრო მეტია უკრაინული თუ ბელორუსული რძე, ვიდრე ქართული და სადაც თურქეთიდან ჩამოტანილი პომიდორი იყიდება. ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში სურსათის 80 პროცენტი იმპორტირებულია, რამაც 2011 წელს გამოიწვია მაღალი სასურსათო ინფლაცია.

2011 წელს პრეზიდენტმა პირველად განაცხადა, რომ ინფრასტრუქტურასთან და ტურიზმთან ერთად სოფლის მეურნეობაც უნდა იყოს ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორი. მან თქვა, რომ საჭიროა, ქვეყნის „სოფლის მეურნეობის სექტორი შუა საუკუნეების მოდელიდან XXI საუკუნის მოდელად ვაქციოთ“ და პირობა დადო, რომ მთავრობა აგრარულ სექტორს დამატებით 150 მილიონ ლარს დაახარჯავდა, 2011 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულზე გაცილებით მეტს.[21] იმავდროულად, ირაკლი ალასანიას ოპოზიციურმა პარტიამ სოფლის მეურნეობის სტრატეგიაზე დაიწყო მუშაობა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ 2012 წლის არჩევნებში ეს საკითხი დიდ შეხლა-შემოხლას გამოიწვევს. მაგრამ არ არსებობს პრობლემის გადაწყვეტის მარტივი გზა. ექსპერტები გვაფრთხილებენ, რომ არარეალისტურია, სწრაფ წინსვლას მოველოდეთ იმ სექტორში, სადაც პროდუქტების გაზრდას წლები სჭირდება. აგრარული მრეწველობა რენტაბელური რომ იყოს, პატარა მიწის ნაკვეთები დიდ ფერმებად უნდა გაერთიანდეს, ეს კი ბევრ პატარა ფერმას აღგვის პირისაგან მიწისა.

საქართველოს ეკონომიკა ღვინის ჭიქაში

ჯუმბერ ხუციშვილის სოფლის სახლის გარშემო დიდი მიწებია გადაჭიმული. ჰორიზონტზე, რომელიც თოვლიანი მთებით არის შემოსაზღვრული, მოჩანს კლდეზე აღმართული შუა საუკუნეების ძველი ეკლესია. ამ მიწებზე იშვიათად თუ ნახავთ ვენახებს. კახეთში, აღმოსავლეთი საქართველოს ამ თვალწარმტაც რეგიონში, მეღვინეობა ამ ბოლო რამდენიმე წელიწადში ძალიან დაზარალდა. თუმცა, უკვე საუკუნეები და, შეიძლება, ათასწლეულებიც კი არის, რაც აქ ღვინოს წურავენ.

თავად ხუციშვილი ოპტიმისტურად უყურებს მომავალს; „ცხოვრებას არა უშავს, სანამ გვაქვს მიწა და ყველასთვის საკმარი საკვებიო“, ამბობს. მცირე საწარმოს, „ენისელს“, სადაც ჯუმბერი და მისი შვილები მუშაობენ, 300 ათასი ბოთლი ღვინო აქვს ჩამოსხმული. მას შემდეგ, რაც რუსეთის 2006 წლის ემბარგომ მტკივნეულად დაარტყა ქართული ღვინის ბაზარს, „ენისელმა“ და მსგავსმა მცირე საწარმოებმა ახალი მარკეტინგული სტრატეგია შეიმუშავეს – პროდუქციის რაოდენობის შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება გადაწყვიტეს. დღეს უკრაინა და ბელორუსი ყველაზე დიდი ბაზარია ქართული ღვინისთვის, მაგრამ ხუციშვილის ღვინოებმა უკვე ამერიკის ზოგიერთ სუპერმარკეტამდეც კი მიაღწია. მისმა ერთმა ღვინომ პრესტიჟული ოქროს მედალიც მოიპოვა.

საქართველოში ღვინის მრეწველობა ქმნის ერთ–ერთ მთავარ საექსპორტო საქონელს და *ქართული ღვინო* არის ბრენდი გარე სამყაროსთვის. 2006 წლის მარტში ქართული მეღვინეობისთვის ახალი ეტაპი დაიწყო. რუსეთის მთავრობამ იმის მომიზეზებით, რომ ბევრი ყალბი პროდუქტი იყო ბაზარზე, აკრძალა ქართული ღვინისა და მინერალური წყლის შეტანა რუსეთში. თუმცა, ამ ნაბიჯს აშკარად პოლიტიკური სარჩული ჰქონდა: მოსკოვი საქართველოზე იყო ნაწყენი. მით უმეტეს, რომ მსგავსი საეჭვო საქონელის შემოტანა მეგობარი ქვეყნებიდან არ შეუწყვეტია. პირველი შედეგები საქართველოსთვის კატასტროფული აღმოჩნდა. 2005 წელს ქართული ღვინის 90 პროცენტი, ანუ დაახლოებით 52 მილიონი ბოთლი რუსეთში გაიტანეს, ხოლო 2006 წელს, მოულოდნელად, ბაზრის უდიდესი ნაწილი გაქრა. კახურ ტკბილ წითელ ღვინოებს თითქმის მთლიანად რუსები, კერძოდ რუსი ქალები, სვამდნენ. დღეს კი აღარ იციან, სად წაიღონ ეს ღვინო. 2010 წელს საქართველომ ექსპორტზე მხოლოდ 10 მილიონი ბოთლი ღვინო გაიტანა.[22]

„რუსეთი უზარმაზარი ბაზარი იყო. იქ არა მარტო ღვინოს, არამედ სხვა ალკოჰოლურ სასმელებსაც ვასაღებდით. ჩვენთან იყო ერთი საწარმო, რომელიც დღეში 6 ათას ტონა ყურძენს ამუშავებდა. სადაც არ გაიხედავდი, ყველგან ვენახი იყო გაშენებული. ახლა ახალი ბაზრების ძებნა გვიწევს... ასე, რომ ეს დიდი დარტყმა იყო ჩვენთვის. სამაგიეროდ გამყალბებლებმა სხვა ბიზნესებში გადაინაცვლეს. ახლა ჰექტრიდან ნაკლებ ყურძენს ვიწევთ, მაგრამ უფრო ხარისხიანს. არავინ იყიდის უხარისხო პროდუქტს“, – ამბობს ხუციშვილი.

დღეს, როცა რუსეთს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება უნდა და ცდილობს მოელაპარაკოს საქართველოს, ქართული ღვინო ვაჭრობის

მთავარი საგანია. აშშ და ევროკავშირი მიესალმებიან რუსეთის *მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში* გაწევრიანებას; ეს დასავლურ კომპანიებს დამატებით მილიარდობით დოლარს მოუტანს, მაგრამ საქართველოს, რომელიც უკვე არის ამ ორგანიზაციის წევრი, შეუძლია წინ აღუდგეს რუსეთის გაწევრიანებას. არც არის გასაკვირი, რომ ის ამ ბერკეტს იყენებს თავისი მეზობლისა და მოქიშპის წინააღმდეგ. ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, მხოლოდ ღვინის ემბარგოს მოხსნა არ არის საკმარისი თანხმობის მისაცემად და გვარწმუნებენ, რომ ღვინის ინდუსტრია ისედაც ახერხებს აღორძინებას.

საქართველოში მთავარი ღვინის მწარმოებელი რეგიონის, კახეთის, მოსახლეობის უმრავლესობა ნაკლებად ოპტიმისტურად არის განწყობილი. ემბარგომ ათასობით ადამიანს სამუშაო დააკარგვინა. კახეთი საქართველოს ერთ–ერთი ყველაზე მდიდარი სასოფლო-სამეურნეო რეგიონი იყო, მაგრამ 2009 წლის მსოფლიო ბანკის კვლევამ აჩვენა, რომ ამ რეგიონის მოსახლეობის 46,3 პროცენტი სიღარიბეში ცხოვრობს, ე.ი. ეს საქართველოში სიღარიბით მეორე რეგიონია.

აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ხმამაღლა არ ლაპარაკობენ – რუსეთი ახლოა, არსებობს ძველი კავშირები და დიდი ქართული დიასპორა რუსეთში, ამ ბაზრის გახსნა ძალიან კარგად იმოქმედებს ქართული ეკონომიკაზე.

ამასობაში *ენისელს* ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოს მთავრობასთან აქვს და არა რუსეთთან. 2010 წლის სექტემბერში, უშუალოდ რთველის წინ, საქართველოს საგადასახდო სამსახურის წარმომადგენლები შევიდნენ მის ოფისში, გაყინეს მისი ანგარიშები და *ენისელს* 700 ათას ლარიანი ჯარიმა დააკისრეს. ეს თანხა საკმარისია ბიზნესის გასაკოტრებლად. მეღვინეები გვარწმუნებენ, რომ საგადასახადო დეპარტამენტმა თვითონ აურია საბუთები. ფირმის ამერიკელი ინვესტორის მტკიცე პროტესტის შემდეგ ჯარიმა 50 ათას ლარამდე შემცირდა, მაგრამ საკითხი საბოლოოდ დღემდე არ არის მოგვარებული.

საგადასახადო დავაში ტყუილ-მართლის გარჩევას თავი რომ დავანებოთ, ეჭვგარეშეა, რომ აგრარულ საქართველოს უფრო წარმატებული ღვინის მრეწველობა სჭირდება. ხუციშვილის ვენახების სამხრეთით რუკა აჭრელებულია ძველი და საკმაოდ ცნობილი ქართული ღვინის სახელებით: ქინძმარაული, მუკუზანი, წინანდალი. მაგრამ თვითონ სოფელი ვანთა ნაკლებ მომხიბლავად გამოიყურება. იქ მხოლოდ ერთი მაღაზიაა საკმაოდ ცოტა პროდუქტით. მაღაზიის გარეთ თავი მოუყრიათ შავ და ნაცრისფერ ტანსაცმელში გამოწყობილ უმუშევარ კაცებს. შორიახლოს აგურის კედელზე რგოლში ჩასმული ხუთიანია გამოსახული. ეს იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე მმართველი პარტიის საარჩევნო ნომერი. ასეთ სიმბოლოებს საქართველოს სოფლებში ყველგან შეხვდებით.

მამაკაცები ჩივიან, რომ ღვინის მრეწველობაში სამუშაო ფაქტობრივად არ არის. ამბობენ, რომ შაქარი, ჩაი და საწვავი ძალიან გაძვირდა, მაგრამ ყურძენი კვლავ ძალიან იაფია. „მამა და ძმა ათასში ერთხელ მოსკოვიდან მიგზავნიან ფულს... მთავრობა რაღაცას გვპირდება, მაგრამ მხოლოდ ლაპარაკობს, ლაპარაკობს, ლაპარაკობს“, ამბობს დათო. სხვა კაცებიც უჩივიან მთავრობას. ამაზე დათომ თქვა: „ახლა ასე ლაპარაკობენ, მაგრამ მომავალ არჩევნებში, მაინც საკაშვილს მისცემენ ხმას“. ყველამ გაიცინა.

ერთპარტიული სახელმწიფო?

უდავოა, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობისას მოხდა საქართველოს მოდერნიზაცია, მაგრამ ასე გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ ქვეყანა მეტად დემოკრატიული გახდა. მთავრობა უფრო ძლიერია, მაგრამ უფრო ღია ან ტოლერანტული არ არის. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დემოკრატიის მაჩვენებლები ოდნავ შეიცვალა, თუმცა, არაერთი მათგანი, გაუარესდა.

საქართველოს დემოკრატიის ინდექსი



წყარო: *ეკონომისტის* საინფორმაციო ცენტრის დემოკრატიის ინდექსი

სააკაშვილის მხარდამჭერები და მისი გუნდი ამტკიცებენ, რომ მათ რეფორმების განხორციელებისთვის კარგად დისციპლინირებული აღმასრულებელი სტრუქტურები სჭირდებათ. ეს ასეც რომ იყოს, ბევრი რამ მიანიშნებს იმაზე, რომ მმართველი ელიტა ყველაფერსაა მოდებული. სააკაშვილი და მმართველი *ერთიანი ნაციონალური მოძრაობა* აკონტროლებენ აღმასრულებელ ხელისუფლებას, ფლობენ საპარლამენტო მანდატების დიდ უმრავლესობას და ყველა რეგიონის გუბერნატორი მათი წარმომადგენელია. ერთი უცხოელი მიმომხილველი წერს, რომ თავად პრეზიდენტი არ არის წინააღმდეგი, რომ საქართველო „ერთპარტიულ ქვეყნად" მიიჩნიონ.[23] როგორც ჩანს, ასეთი დომინირება სხვადასხვა მიზეზის გამო გაგრძელდება 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც. ეს არჩევნები შეუძღვება საქართველოს ახალ პოლიტიკურ სისტემაში. ამ ახალ სისტემას ექნება ახალი კონსტიტუცია, რომელიც 2013 წლის იანვარში ამოქმედდება, მაშინ, როცა დამთავრდება სააკაშვილის პრეზიდენტობის მეორე და ბოლო ვადა. ეს კონსტიტუცია ახალ პრეზიდენტს ჩამოართმევს ძალაუფლების ბევრ ასპექტს და პარლამენტის მიერ არჩეულ ბევრად უფრო ძლიერ პრემიერ–მინისტრს გადასცემს.

ახლანდელი პოლიტიკური დისკუსია ორ დიდ საკითხს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. ერთი საკითხია, თუ როგორ დაკომპლექტდება ახალი 150 მანდატიანი პარლამენტი. რვა ოპოზიციური პარტიისგან შემდგარი კოალიცია მთავრობასთან მოლაპარაკებებში დაჟინებით მოითხოვს ახლანდელი სიტუაციის შეცვლას. მათ უნდათ, რომ არ განმეორდეს 2008 წლის ამბები, როცა 75 ერთადგილიანი საარჩევნო მანდატიდან, *ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ* ხმების უბრალო უმრავლესობით 71 მოიპოვა. ბევრი მოელის, რომ მმართველი პარტია მოიგებს შემდეგ საპარლამენტო არჩევნებს. მაგრამ ექსპერტები გვაფრთხილებენ, რომ თუ პარლამენტში მათი უმრავლესობა პროპორციულად ბევრად უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე ხმების საერთო რაოდენობაში მათი წილი, ამან შეიძლება იმედგაცრუებული ოპოზიციონერი ამომრჩევლების უკმაყოფილება გამოიწვიოს.

მეორე საკამათო საკითხია, ეცდება თუ არა სააკაშვილი, პრეზიდენტობის შემდეგ გახდეს პრემიერ მინისტრი და ამგვარად, ახალი კონსტიტუციის თანახმად, შეინარჩუნოს საქართველოში ყველაზე ძლევამოსილი კაცის სტატუსი. როცა დაჟინებით ჩაეკითხნენ, სააკაშვილმა ამასთან დაკავშირებით თქვა, რომ არ უპასუხებს ამ კითხვას რადგან არ უნდა თავისი ვადის ბოლოს გახდეს „კოჭლი იხვი"*.[24]

სააკაშვილმა კარგად იცის, რომ მისი რეპუტაცია შეილახება თუ აღმოჩნდება, რომ „პუტინივით იქცევა" და საგანგებოდ გადაკეთებული კონსტიტუციის თანახმად, ინიშნება ახალ უმაღლეს თანამდებობაზე. სხვა, არანაკლებ სადავო, სცენარი ასეთი გახლავთ: სააკაშვილი *ერთიან ნაციონალურ მოძრაობას* ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ჩაუდგება სათავეში. ამგვარად, ის „უტახტო მეფედ" დარჩება, ხოლო მისი ნდობით აღჭურვილი მოკავშირე, ახლანდელი შინაგან საქმეთა ძლევამოსილი მინისტრი, ვანო მერაბიშვილი, პრემიერ–მინისტრად მოგვევლინება.

ამ დებატებს ქვეყნის პოლიტიკური მომავლის შესახებ ამჯერად მთლიანად ხელისუფლება აკონტროლებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოპოზიცია სუსტია. ექსპერტები ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ინერტულობაზე ლაპარაკობენ, რომელიც 2010 წლის ადგილობრივი არჩევნებისას გამომჟღავნდა. მაშინ საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა 50 პროცენტზე გაცილებით ნაკლები მივიდა. ივლიანე ხაინდრავა, ლიბერალური ორიენტაციის მქონე მცირერიცხოვანი *რესპუბლიკური პარტიის* ერთ–ერთი ლიდერი,

---

* ინგლ. სახელმწიფო მოხელე ან მთავრობა, რომლის უფლებამოსილების ვადაც მალე ამოიწურება და რომელსაც ხელახლა აღარ აირჩევენ.

ამბობს, რომ „სააკაშვილმა ისეთი სიტუაცია შექმნა, რომ არ არსებობს მისი ალტერნატივა“, ხოლო „საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი აპათიაშია.“

პოლიტიკურ დებატებს, ძირითადად, მმართველი ელიტა უძღვება, რადგან მას მხარს უჭერს საქართველოს სამი მთავარი სატელევიზიო არხი: *რუსთავი 2, იმედი* და *პირველი არხი* ანუ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი.

ორი ყველაზე ძლიერი სატელევიზიო არხი: *რუსთავი 2* და *იმედი*, კერძოა და მათი მფლობელის ვინაობა გაურკვეველია. თუმცა, 2011 წლის აპრილში მიიღეს კანონი, რომელმაც უნდა გამოასწოროს ეს მდგომარეობა. ამ კანონის თანახმად, ოფშორულ კომპანიებს ეკრძალებათ ტელევიზიების მფლობელობა. წლების განმავლობაში *რუსთავი 2*–ს ორი ოფშორული კომპანია აკონტროლებდა.[25]

პოლიტიკურ დებატებს, ძირითადად, მმართველი ელიტა უძღვება, რადგან მას მხარს უჭერს საქართველოს სამი მთავარი სატელევიზიო არხი.

იმედის მფლობელობის ამბავი კიდევ უფრო რთულია. თავიდან, 2007 წელს, ის საქართველოს მთავარი ოპოზიციური არხი იყო; ახალა მთავრობის სათქმელს ყველა მეტად *იმედი* ავრცელებს. 2010 წლის მარტში იმედმა გადასცა ახალი ამბების ყბადაღებული მოდელირებული გამოშვება, რომელშიც მოთხრობილი იყო საქართველოში რუსეთის თითქოსდა შემოჭრის ამბები. ამ გადაცემამ მაშინ პანიკა და სერიოზული საერთაშორისო კრიტიკა გამოიწვია. მოგვიანებით *იმედმა* ბოდიში მოიხადა. ტელეკომპანიის დირექტორმა, გიორგი არველაძემ, მინისტრთა კაბინეტის ყოფილმა წევრმა და პრეზიდენტის პოლიტიკურმა პარტნიორმა შეინარჩუნა თანამდებობა მიუხედავად იმისა, რომ მოითხოვდნენ მის გადადგომას.

სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთან შედარებით საქართველოში ახალი ამბების გაშუქებისას მიკერძოება ნაკლებად თვალშისაცემია. მიუხედავად ამისა, ახალი ამბების მთავარ გადაცემებში უფრო მეტად და ხელსაყრელად აშუქებენ პრეზიდენტის თუ ხელისუფლების საქმიანობას. *საერთაშორისო კრიზისების ჯგუფი* წერს: „ფრაზა ‘ეს ზემოდან მოდის’ ჟურნალისტების კერძო საუბრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

მეორე სერიოზული პრობლემა ისაა, რომ ბევრ ჟურნალისტს მიაჩნია, მისი დასაქმება–არდასაქმება დამოკიდებულია თვითცენზურაზე, მიუხედავად იმისა სად მუშაობს – მთავრობის მხარდამჭერ თუ ოპოზიციურ საინფორმაციო სამსახურში“.[26]

სამი მთავარი არხი მოიხმარს რეკლამის ტელევიზიით გადაცემაზე დახარჯული ფულის ლომის წილს. ხოლო სარეკლამო პროდუქციის წარმოება თანდათან ერთი, თითქმის მონოპოლისტი, კომპანიის ხელში აღმოჩნდა. ეს კომპანია გახლავთ *ჯენერალ მედია*, რომელიც ახლა ბაზრის 95 პროცენტს აკონტროლებს. გაზეთის რედაქტორი და მედია ექსპერტი, ლაშა ტუღუში, ამბობს, რომ 2010 წლის პირველ რვა თვეში საქართველოში სატელევიზიო რეკლამაზე სულ 68 მილიონი ლარი დაიხარჯა; აქედან 57 მილიონი ლარი სამმა წამყვანმა ტელევიზიამ: *რუსთავი 2*–მა, *იმედმა* და *პირველმა არხმა* აითვისა. ეს ზეგავლენას მოახდენს მომავალ არჩევნებზე. 2010 წლის ადგილობრივი არჩევნებისას დახარჯული $9 მილიონის 90 პროცენტი გაიღო მმართველმა *ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ*. უმეტესი წილი ამ ფულისა სატელევიზიო რეკლამაზე დაიხარჯა.[27]

საქართველოს აქვს ტელევიზიით ინფორმაციის მიღების ალტერნატიული წყაროები. *მაესტრო*, რომელიც უფრო ოპოზიციას თანაუგრძნობს, ყოველ ღამე გადასცემს ახალ ამბებს, თუმცა, მისი მაუწყებლობა თბილისს ნაკლებად სცდება. ოპოზიციის მხარდამჭერი კიდევ ერთი არხი, *კავკასია*, მხოლოდ დედაქალაქში მაუწყებლობს. ორივე ამ

კომპანიას მწირი სახსრები აქვს. მათ 2010 წლის პირველ რვა თვეში რეკლამისთვის 2 მილიონ ლარზე ნაკლები დახარჯეს. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის *მეორე სატელევიზიო არხიც* ინფორმაციის ალტერნატიული წყაროა. რომელიც ყველა პარტიის პრესკონფერენციებს და პოლიტიკურ ღონისძიებებს გადასცემს. თუმცა, ბევრი რიგითი ქართველი ჩივის, რომ აკლია სატელევიზიო „თოქშოუები" ცოცხალი პოლიტიკური დებატებით, რომელიც დამახასიათებელი იყო შევარდნაძის ხანისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ მმართველი ელიტა შედარებით კომფორტულ მდგომარეობაშია, ზოგჯერ თბილისელი ინტელიგენციის ან სხვათა მხრიდან კრიტიკისადმი ძალიან არატოლერანტულია.ამბობენ, რომ კრიტიკოსებთან და წინა ადმინისტრაციასთან დაკავშირებულ პირებთან მიმართება ასეთია – „შენ ან ჩვენთან ხარ, ან ჩვენ წინააღმდეგ".[28] ამ ანგარიშის მომზადებისას ჩვენ მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილ ბევრ ექსპერტს გავესაუბრეთ. მიუხედავად იმისა, რომ მათ დასავლეთში პატივს სცემენ და კონფერენციებზე იწვევენ, ბევრმა თქვა, რომ წლების განმავლობაში არ გამოჩენილა სამი მთავარი ტელეარხიდან არც ერთზე.

ერთი მათგანი პაატა ზაქარეიშვილი ხუმრობს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ის *უჩვენებელია* სამ მთავარ სატელევიზიო არხზე და ამბობს, რომ სააკაშვილმა გამოიყენა ეს სიტყვა თავისი მდგომარეობის დასახასიათებლად, როცა ის შევარდნაძის ოპოზიციაში იყო.

ერთი დასავლელი ექსპერტის თქმით, საჯარო დისკუსიაზე ამგვარ კონტროლს ის მოაქვს, რომ საქართველოში ხელისუფლებას აქვს „ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის ხარვეზი".[29] გადაწყვეტილებები ნაკლებად გამჭვირვალე გზით მიიღება. მაგალითად, მოულოდნელი და ძვირადღირებული გადაწყვეტილება ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის აშენების შესახებ მცირედი კონსულტაციებით, ერთი ხელის მოსმით მიიღეს. თქმა არ უნდა, რომ ეს გადაწყვეტილება არპოპულარულია თბილისში. დაისვა კითხვები ამ პროექტის დაფინანსების შესახებ, მაგრამ პასუხი არავის გაუცია.[30] ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ პარლამენტი დედაქალაქიდან იმიტომ გადააქვთ, რომ მთავრობამ ანგარიშვალდებულებას თავი აარიდოს. სწორედ დედაქალაქი იყო მთელ საქართველოში ერთადერთი ადგილი, სადაც 2008 წლის არჩევნებში ამომრჩეველთა უმრავლესობამ სააკაშვილის ნაცვლად ოპოზიციის კანდიდატს, ლევან გაჩეჩილაძეს, მისცა ხმა. ანალიტიკოსი ზაქარეიშვილი ამბობს, რომ სააკაშვილს „უნდა თბილისი დეპოლიტიზირებულ ქალაქად აქციოს. ქუთაისი ყველაზე ნაკლებად პოლიტიზირებული ქალაქია საქართველოში. თბილისში კი ხალხი რთულ კითხვებს სვამს".

საგანგებო წესრიგი

სააკაშვილისეულ ახალ საქართველოში ყველაზე ურთიერთწინააღმდეგობრივი სამართალდამცველი და სასამართალო სისტემებია. მოვიდა რა კორუფციითა და კრიმინალით დასნეულებული ქვეყნის ხელისუფლებაში, სააკაშვილმა, პირველ რიგში, სრულიად გარდაქმნა ძველი საპოლიციო ძალები და შემდეგ ამ ახალ სტრუქტურას მისცა ძალაუფლება განეხორციელებინა „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა დანაშაულის მიმართ. ამ პოლიტიკაზე მთავარი პასუხისმგებელი არის პრეზიდენტთან ყველაზე დაახლოებული ორი პირი: შინაგან საქმეთა მინისტრი, ვანო მერაბიშვილი და იუსტიციის მინისტრი, ზურაბ ადეიშვილი. ეს ორი მინისტრი, საყოველთაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, ყველაზე ძლევამოსილი ოფიციალური პირია, თავად სააკაშვილის შემდეგ. მერაბიშვილს 2004 წლის დეკემბრიდან მოყოლებული ერთი და იგივე პოსტი უკავია, იშვიათი ხანგრძლივობაა იმ მთავრობისთვის, სადაც ბევრი მინისტრი შეიცვალა. ადეიშვილს სხვადასხვა პოსტი ეკავა მმართველ ელიტაში, მაგრამ ყოველთვის რჩებოდა სააკაშვილის უახლოეს წრეში.

მერაბიშვილის მინისტრობისას საქართველოში დანაშაული შემცირდა. ქუჩის დანაშაულის, მანქანის ქურდობის და მკვლელობის რაოდენობამ იკლო. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ პოლიციას აქვს საზოგადოების დიდი მხარდაჭერა. თუმცა, პრობლემა ისაა, რომ პოლიციის თანამშრომლებს იმხელა ძალაუფლება აქვთ, რომ ისინი თავისუფალი არიან პოლიტიკური ანგარიშვალდებულებისგან.[31]

2011 წელს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადანაშაულა საქართველოს მთავრობა მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის გამო ავადსახსენებელ საქმეში, რომელშიც პოლიციის ოფიცრები მკვლელობაში იყვნენ ბრალდებული. იმავდროულად, დანაშაულისადმი „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკამ ციხის ბინადართა რაოდენობა (2004 წ.) 6 654–დან (2010 წ.) 24 684–მდე გაზარდა. ამის გამო საქართველო ერთ სულ მოსახლეზე პატიმრების რაოდენობით მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა[32]. გადავსებული ციხეები სერიოზული პრობლემაა და სახალხო დამცველი ჩივის, რომ 2010 წელს ციხეში 142 პატიმარი გარდაიცვალა. ეს მკვეთრი მატებაა წინა წელთან შედარებით. თბილისში 2011 წლის მარტსა და აპრილში ორი დემონსტრაცია გაიმართა საქართველოს ციხეებში არსებული პირობების გასაპროტესტებლად. ამ დემონსტრაციების რამდენიმე მონაწილე დააპატიმრეს.[33]

ახლა სასამართლო სისტემა ძლიერად არის გადახრილი ბრალდებულის საწინააღმდეგო მხარეს. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ გაამართლონ ის, ვისაც სისხლის სამართლის ბრალი აქვს წაყენებული საქართველოს სასამართლოში. 2010 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ 7 296 სისხლის სამართლის საქმე განიხილა და მხოლოდ 21 (ანუ 0,04 პროცენტი) გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. დღეს საქართველოში

საქმეების ნახევარზე მეტი სასამართლოში შესვლამდე საპროცესო გარიგებით გვარდება. ბრალდებული აწარმოებს მოლაპარაკებას პროკურორთან და ეს მოლაპარაკება, ძირითადად, იმით მთავრდება, რომ იხდის ჯარიმას განაჩენის შესამცირებლად ან საერთოდ გასაუქმებლად. 2009 წელს საპროცესო გარიგების შედეგად მოკრებილმა ჯარიმებმა 61 მილიონი ლარი შეადგინა. ამ სისტემის მხარდამჭერები ამბობენ, რომ ეს ეფექტურია, ზოგავს დროს და თავიდან აგვაცილებს ციხეების კიდევ უფრო მეტად გადატვირთვას. თუმცა, როგორც *საერთაშორისო გამჭვირვალობა* აღნიშნავს თავის დეტალურ ანგარიშში ამ საკითხთან დაკავშირებით, „მოსათხოვნი ჯარიმის დაანგარიშების, ჯარიმის დაკისრების და მოკრების პროცესი ნაკლებად გამჭვირვალეა; რაც იწვევს ფართოდ გავრცელებულ უნდობლობას პროკურორებისადმი და ზოგადად საპროცესო გარიგებისადმი“.[34]

მთავრობამ წამოიწყო სასამართლო რეფორმის პროცესი, რომელიც გვპირდება ზოგიერთი ამ ხარვეზის გამოსწორებას. დაგეგმილია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესების შემოღება, თავდაპირველად მკვლობისთვის და შემდეგ, სავარაუდოდ, სისხლის სამართლის სხვა საქმეებისთვისაც. ეს სისხლის სამართლის პროცესში შეიტანს ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან ელემენტს. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, მოსამართლეები დაინიშნებიან უვადოდ. ამ ნაბიჯს მხარი დაუჭირა ევროსაბჭოს ვენეციის კომისიამ. თუმცა, კომისიამ გამოთქვა შეშფოთება იმ ნორმის გამო, რომ მოსამართლეები უნდა წარადგინოს პრეზიდენტმა. კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ეს არ უნდა იყოს კარგი მექანიზმი მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. გაკრიტიკებულია ის პირობაც, რომ მოსამართლეებს აქვთ სამწლიანი გამოსაცდელი პერიოდი, რადგან „გამოსაცდელი პერიოდის დაწესებამ, შეიძლება ძირი გამოუთხაროს მოსამართლის დამოუკიდებლობას, რადგან საქმეების გადაწყვეტისას მათ შეიძლება ერთგვარი ზეწოლა იგრძნონ“.[35]

ამ „საგანგებო წესრიგის“ პოლიტიკურ კულტურას ეკონომიკური განზომილებაც აქვს. ფართოდაა გავრცელებული წარმოდგენა, რომ მთავრობამ დაადგინა ბიზნესის კეთების ისეთი წესები, რომელიც მორგებულია მის საკუთარ ინტერესებს. საქართველოს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ბრალი დასდო მთავრობას პიროვნების საკუთრების უფლების დარღვევაში. ეს დარღვევები ისეთ ადგილებს უკავშირდება, სადაც მთავრობას პირდაპირი ინტერესები აქვს; მაგალითად როგორიცაა ანაკლიის ახალი კურორტები, ბათუმი ან სვანეთი. უფრო ზოგადად, ბევრი ქართველი ანალიტიკოსი ამბობს, რომ ქართული ბიზნესის დიდ ნაწილს ისევ ოფიციალური პირები და პოლიტიკასთან დაახლოებული ადამიანები აკონტროლებენ; თუმცა, ბევრად უფრო შეფარული გზით ვიდრე უწინ ხდებოდა. თუ ასეა, მაშინ საქართველოს მმართველი პოლიტიკური ჯგუფი ნაკლებად მოწადინებული იქნება, რომ ვინმეს გაუყოს ძალაუფლება და სისტემა უფრო გამჭვირვალე გახადოს. გასაგები მიზეზების გამო, ეს ძალიან ბუნდოვანი თემაა. მარტივად რომ ვთქვათ, ცოტაა საჯარო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ ფლობს ქართული ბიზნესისა და მედიის დიდ წილებს. ასე თუ ისე ცოტა რამ შეიძლება დაამტკიცო ან ერთი ან მეორე მიმართულებით. თუმცა, ადგილობრივი და უცხოელი დამკვირვებლები (მაგალითად, აშშ–ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2010 წლის

ქართული ბიზნესის დიდ ნაწილს ისევ ოფიციალური პირები და პოლიტიკასთან დაახლოებული ადამიანები აკონტროლებენ; თუმცა, ბევრად უფრო შეფარული გზით – ვიდრე უწინ.

ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ) შეშფოთებას გამოთქვამენ ელიტარული კორუფციის გამო.[36]

ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი ლიბერალი მხარდამჭერები, კატეგორიულად უარყოფენ ბრალდებას, რომ ეკონომიკაში არსებობს დამალული მონოპოლიები ან „მაღალი ეშელონების კორუფცია". მთავრობის ლიბერალური რეფორმების დიდი ნაწილის ავტორი, ცნობილი ეკონომისტი, კახა ბენდუქიძე, დაჟინებით ამტკიცებს, რომ საქართველოს ეკონომიკა იმდენად ღიაა, რომ ვინც არ უნდა მოინდომოს მონოპოლიის დაწესება, კონკურენტები ამის საშუალებას არ მისცემენ. ხელისუფლების სტრატეგი გიგა ბოკერია ამბობს: „ქვედა დონეზე ვერანაირ საგრძნობ ცვლილებას ვერ მიაღწევ, თუ ზედა ეშელონებში კორუფცია სუფევს". ის ამბობს, რომ შესყიდვების ელექტრონული სისტემის დანერგვა მეტ გამჭვირვალობას მოიტანს ამ პროცესში.

თუმცა, გასულ წლებში მაღალი თანამდებობის პირებსაც დასდეს ბრალი კორუფციაში. 2007 წელს სააკაშვილის გარემოცვის ორი მაღალჩინოსანი გადადგა შიდა მწვავე პოლიტიკური უთანხმოების გამო და ამის შემდეგ ისინი დაადანაშაულეს დიდი რაოდენობით ფულის გაფლანგვაში. ესენი გახლდნენ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და მიხეილ ქარელი, შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი. აქ დაისმის კითხვა – ამ პირებს თანამდებობების შენარჩუნება რომ მოეხერხებინათ, მათი ფინანსური გადაცდომები გამოაშკარავდებოდა თუ არა.

2011 წელს ბევრი რიგითი ქართველი საწვავზე, ზოგიერთ საკვებ პროდუქტზე ან მედიკამენტზე მაღალ ფასებს ქართულ ეკონომიკაში შეფარული ოლიგოპოლიების ან კარტელების არსებობით ხსნის. არსებობს ანეკდოტური ფაქტი ამის შესახებ. ერთი თბილისელი ყვება ამბავს, თუ როგორ უნდოდა ფარმაცევტულ ბაზარზე შემოსვლა მის ნაცნობ ბიზნესმენს ისრაელიდან, მაგრამ ვერ მიიღო საჭირო ლიცენზია, როგორც ჩანს, პოლიტიკური მიზეზით. ეს ამბავი ბევრი დეტალით შეავსო *ლიბერალის* სპეციალურმა გამოშვებამ. დამოუკიდებელი ჟურნალის რეპორტიორებმა გამოიძიეს ზოგიერთი ბუნდოვანი სფერო ქართული ეკონომიკისა და აღმოაჩინეს საყურადღებო შემთხვევები წყლის და ლატარიის ეროვნულ კომპანიებში, პირუტყვის სასაკლაოებისა და მანქანის სადგომების მენეჯმენტში; გამოიძიეს დაბალფასიანი საქონლის კიოსკების იმ ქსელის ამბავი, რომელიც მას შემდეგ გამოჩნდა თბილისში, რაც ქალაქის მესვეურებმა გამოსცეს ბრძანება ქუჩის სხვა კიოსკების დახურვის შესახებ.[37]

ანგარიშები ამ ძალიან განსხვავებულ შემთხვევებზე გვიჩვენებს ტენდენციას, რომ ბაზარზე ერთი დომინანტური მოთამაშეა და ის აწესებს ფასებს. საეჭვოა ზოგადად პროდუქტზე ფასების მომატება, გაურკვეველია ზოგიერთი საწარმოს მფლობელის ვინაობა, როცა ზოგიერთი ბიზნესი დარეგისტრირებულია ვირჯინის კუნძულებზე. *საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო* აგრეთვე ეცადა გამოეძიებინა დაფარული მონოპოლიების ამბავი საქართველოში და ყრუ კედლის პირისპირ აღმოჩნდა. მარკ მალენი *საერთაშორისო გამჭვირვალობიდან* ამბობს, „როგორც კი გაცდები გარკვეულ დონეს, როგორც ჩანს, ყოველთვის აღმოჩნდები კვიპროსში ან ბაჰამის კუნძულებზე დარეგისტრირებულ საფოსტო ყუთთან." საქართველოს ეკონომიკას აქვს ზოგიერთი ჩრდილოვანი მხარე, რომელიც მოითხოვს უფრო სიღრმისეულ გამოძიებას.

განვითარების მოდელის შერჩევა საქართველოსთვის

გრძელვადიანი განვითარების მოდელის შერჩევისას საქართველო რამდენიმე ვარიანტს განიხილავს. მაგრამ მის მრავალფეროვან ისტორიასა თუ მრავალ კულტურულ გავლენას შორის არაფერი განაპირობებს არჩევანს. პრეზიდენტი სააკაშვილი მისთვის დამახასიათებელი ექსცენტრულობით უწინასწარმეტყველებს საქართველოს ნათელ მომავალს და რამდენიმე ქვეყანა მოჰყავს განვითარების მაგალითად. ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც ის ახსენებს, სხვადასხვა ელექტორატსა და საქართველოს მომავლის სხვადასხვა ფილოსოფიურ ხედვას ასახავს.[38]

სამი მისაბაძი ქვეყანა ძალზე სქემატურად რომ წარმოვიდგინოთ, მივიღებთ სამკუთხედს, რომლის სამივე წვერი ქვეყანას სხვადასხვა მიმართულებისკენ მიუთითებს.



პირველ ალტერნატივას ძნელად თუ ვუწოდებთ „მოდელს“. ის უფრო მეტად წააგავს იმას, რასაც შეიძლება „ძველი საქართველო“ ვუწოდოთ. ეს არის ფასეულობათა ტრადიციული სისტემა და ურთიერთობის მოგვარებისა და საქმის კეთების ძველი, ჩვეული მეთოდები. ამ ალტერნატივას საფუძვლად უდევს ფილოსოფიური მიდგომა, რომლის მიხედვით საქართველო – უძველესი ცივილიზაცია – სხვადასხვა უცხოური ზეგავლენით არ უნდა გაირყვნეს. ამ მიმართულების ყველაზე ენამჭევრი წარმომადგენელი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური ილია მეორე გახლავთ. იგი საქართველოს „საგანძურს“ უწოდებს. 2010 წელს პატრიარქმა გააფრთხილა ქართველი ახალგაზრდები, რომ არ აჰყოლოდნენ საზღვარგარეთ ცხოვრების ცდუნებას და წინააღმდეგობა გაეწიათ გლობალიზაციით წარმოქმნილი „საფრთხისთვის“.

სოციალურად ლიბერალურ და დასავლეთში განათლებამიღებულ დღევანდელ მმართველ ელიტას თბილი ურთიერთობა არ აქვს საქართველოს ეკლესიასთან, თუმცა პრეზიდენტი სააკაშვილი სათანადო პატივისცემით ეკიდება პატრიარქს და შვილიც მოანათვლინა. 2010 წლის აგვისტოში, როცა პატრიარქთან ერთად ცერემონიას ესწრებოდა, პრეზიდენტმა თქვა: „ჩვენი საზელმწიფოებრიობა და რწმენა განუყოფელია. ჩვენს გვერდით დგას საქართველოს პატრიარქი. ის ჩვენი უძლეველობის სიმბოლოა“. მაგრამ ფარული დაძაბულობა, რომელიც მმართველ ელიტასა და ეკლესიას შორის არსებობს, დროდადრო მაინც იჩენს ხოლმე თავს რიგ საკითხებთან, მაგალითად, ახალგაზრდების ზნე-ჩვეულებებსა თუ მორალთან, განათლების რეფორმასა თუ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებასთან დაკავშირებით. ეს მიგვანიშნებს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ალბათ ერთადერთი ინსტიტუტია, რომელსაც მთავრობასთან დაპირისპირება ძალუძს დღევანდელ საქართველოში, მაგრამ ეს დაპირისპირება უმეტესად მეორეხარისხოვანი პრობლემების გარშემო ხდება. საქართველოს პატრიარქი ილია მეორე, რომელიც ეკლესიას 1977 წლიდან უდგას სათავეში, პრაქტიკულად ხელშეუხებელია და 90 პროცენტიანი მხარდაჭერით სარგებლობს საზოგადოებაში.

მართლმადიდებელი ეკლესია ალბათ ერთადერთი ინსტიტუტია, რომელსაც მთავრობასთან დაპირისპირება ძალუძს დღევანდელ საქართველოში, მაგრამ ეს დაპირისპირება უმეტესად მეორეხარისხოვანი პრობლემების გარშემო ხდება.

მიუხედავად დიდი პატივისცემისა მართლაც უძველესი და მდიდარი ქართული ცივილიზაციისადმი, ეს ფილოსოფიური ხედვა ბევრს ვერაფერს სთავაზობს ქვეყანას, როცა საქმე ეკონომიკური და პოლიტიკური მომავლის დაგეგმვას ეხება. ბიზნესის თვალსაზრისით, „ძველი საქართველო“ სიმბოლურად ნათესაურ კავშირებსა და ეკონომიკურ უძრაობას აღნიშნავს. პოლიტიკურ ჭრილში კი ეს მიდგომა საქართველოს ფეოდალურ წარსულს გვაგონებს ან ზვიად გამსახურდიას 1990-1991 წლების ნაციონალისტურ რეჟიმს, როცა ხდებოდა საქართველოში მცხოვრები უმცირესობების დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით.

მეორე მოდელის მიხედვით, საქართველო წარმოგვიდგება ბიზნესის კეთების ცენტრად, რომელიც ინვესტიციების შემომტანი ნებისმიერი საქმიანი ადამიანისთვის იქნება მიმზიდველი. ამ იდეის ყველაზე ცნობილი მომხრეა ბიზნესმენი და ეკონომიკის გურუ კახა ბენდუქიძე, რომელიც რეფორმების მთავარი გამტარებელი იყო 2004-2009 წლებში. მან ახლახანს დააარსა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.

ბენდუქიძე ლიბერტარიანელია. ის მაქსიმალური დერეგულაციის მომხრეა. სწამს ბაზრის „უხილავი ხელის“ და მთავრობის მხრიდან მინიმალური ჩარევის. „გავყიდით ყველაფერს, სინდისის გარდა“, – ეს მისი ცნობილი ფრაზაა, რომელიც 2004 წლის ივნისში წარმოთქვა, როცა საქართველოში მინისტრის თანამდებობის დასაკავებლად ჩამოვიდა. ბენდუქიძე იყო შთამაგონებელი სახელმწიფო ქონების მასობრივი პრივატიზების პროცესისა, ბიუროკრატიის მნიშვნელოვნად შემცირებისა, სამთავრობო უწყებების საერთოდ გაუქმების ან მათი რაოდენობის შემცირებისა, ძალზე ლიბერალური შრომის კანონმდებლობის მიღებისა და დაბალი გადასახადების დაწესებისა. ამ პოლიტიკის შედეგი იყო, ძირითადად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში 2007-2008 წლებში.

ამჟამად ბენდუქიძე ხელისუფლებაში აღარ არის და უწინდელთან შედარებით ნაკლებად გავლენიანია. მიუხედავად ამისა, მისი ბევრი მოწაფე დღეს მთავრობაშია და იგია სულისჩამდგმელი საქართველოს სინგაპურად ქცევის იდეისა, რომელსაც პრეზიდენტი სააკაშვილი მთელი ენთუზიაზმით უჭერს მხარს. სინგაპური პრეზიდენტმა პირველად 2007 წელს ახსენა დუბაისა და ჰონგ–კონგის პარალელურად. 2010 წლის მარტში კი, ბათუმში გამართულ შეხვედრაზე, პრეზიდენტმა დამსწრეებს განუცხადა, რომ საქართველო რეგიონის შვეიცარია გახდებოდა სინგაპურის ელემენტებით.[39] გასათვალისწინებელია, რომ ყოველ ჯერზე მითითება კეთდებოდა ისეთ ქვეყანაზე, რომელსაც დიდი ბუნებრივი რესურსები არ გააჩნია, მაგრამ ეკონომიკური ზრდა სწრაფად მოახერხა ინვესტორისთვის ხელსაყრელი ლიბერალური გარემოს უზრუნველყოფით.

სინგაპური საქართველოსავით პატარა ქვეყანაა, ასევე 4.5 მილიონიანი მოსახლეობით და მწირი რესურსებით. თუმცა, ამ ორ ქვეყანას შორის აშკარა განსხვავებებიც არსებობს. კერძოდ, სინგაპური ქალაქ–სახელმწიფოა, საქართველო კი, პრინციპში, აგრარული ქვეყანაა. სინგაპურს ძლიერი და დიდი სახელმწიფო სამსახური აქვს, ეკონომიკის უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაა, მოსახლეობა კი დაუღალავი, მუყაითი შრომის კულტურით გამოირჩევა. ვერაფერს, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, საქართველოზე ვერ ვიტყვით. ამ ორი ქვეყნის შედარება საკამათო საკითხია, რადგან სინგაპური ვერ დაიკვეხნის განვითარებული დემოკრატიით და ქვეყანას ნახევარ საუკუნეზე მეტია ერთი და იგივე პარტია მართავს. სინგაპურის მისაბაძ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ სააკაშვილს სულ უფრო მეტ კითხვას უსვამდნენ. ამიტომ მან განმარტა თავისი განცხადება: ახლა ის საქართველოს როგორც „ევროპულ“ ან „დემოკრატიულ“ სინგაპურს, ისე მოიხსენიებს. 2011 წლის მარტში ვაშინგტონში გამართულ შეხვედრაზე სააკაშვილმა განაცხადა, რომ სინგაპური მისთვის მაგალითს ეკონომიკის დინამიკური განვითარების გამო წარმოადგენს, „...და როცა ამ ქვეყანაზე ვსაუბრობთ, იმას კი არ ვგულისხმობთ, რომ საღეჭ რეზინს ავკრძალავთ ან პარლამენტის წევრებს დავნიშნავთ, არა, ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით სინგაპურელების საპენსიო ფონდებს, მათ მეთოდებს, თუ როგორ ახერხებენ ინვესტიციების სტიმულირებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, იქნება ეს სამთავრობო ინიციატივები თუ ეკონომიკის ლიბერალიზაცია. ჩვენ, როგორც იცით, არამეგობრულ გეოპოლიტიკურ გარემოში ვიმყოფებით და სწორედ ამიტომ ვაკვირდებით მათ“.[40]

„სინგაპურიზაციისკენ“ სწრაფვას სტიმული მისცა ბიზნესის კეთების სიმარტივის მსოფლიო ბანკისეული რეიტინგის გაზრდამ. ბიზნესის კეთების გამარტივებასაც კახა ბენდუქიძე ედგა სათავეში. მან ძირეულად გაამარტივა საქართველოში ბიზნესის წამოწყების მარეგულირებელი წესები და ნორმები. ამ რეიტინგებში თავად სინგაპურს პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო საქართველომ მე-12-ზე აიწია, რამაც ბიძგი მისცა კიდეც კამპანიას მთელს მსოფლიოში, რომ საქართველოში – „2005-2010 წლების მსოფლიოს ნომერ პირველ რეფორმატორ ქვეყანაში“ – განეხორციელებინათ ინვესტიციები.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ერთი ჯგუფის წარმატება მეორე ჯგუფის უკმაყოფილებას იწვევს. ეს მაღალი რეიტინგი მნიშვნელოვანწილად საქართველოს შრომის კანონმდებლობითაა განპირობებული. კანონები უპირატესად დამსაქმებლის ინტერესებზეა ორიენტირებული, რაც მას საშუალებას აძლევს, იოლად დაითხოვოს მოსამსახურე და შეზღუდოს პროფკავშირები. *ევროკავშირი* და *გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია* საქართველოს კანონმდებლობას შრომითი ურთიერთობის შესახებ დასაქმებულის მიმართ დისკრიმინაციულად მიიჩნევენ. გამორიცხული არ არის, რომ საქართველოს ჩამოერთვას გარკვეული საერთაშორისო სავაჭრო შეღავათები, თუკი არ გადასინჯავს თავის შრომით კანონმდებლობას.[41]

ბიზნესის კეთების სიმარტივის მაჩვენებელი იმ უამრავი ფაქტორისა თუ მარეგულირებელი წესების ერთ-ერთი ასპექტის მოკლე დახასიათებაა, რომელთა ერთობლიობა ქვეყანას კონკურენტუნარიანსა და ინვესტიციებისთვის მიმზიდველს ხდის. უფრო სრულყოფილი გამოკვლევა *მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის* დადგენისას ჩატარდა. ის ქვეყნის ბიზნეს გარემოს უფრო ფართო სურათს გვაძლევს. ამ რეიტინგებში შვეიცარიაა პირველ ადგილზე, სინგაპური მესამეზე, ხოლო საქართველოს 93-ე ადგილი უჭირავს. საქართველოს მაღალი ქულები აქვს ნორმატიული მითითებებისა თუ დადგენილებების არარსებობის და პროგრესული საგადასახადო განაკვეთების გამო, მაგრამ რეიტინგი ქვემოთ იწევს საკუთრების უფლებებთან, უმცირესობაში მყოფი აქციონერების ინტერესების დაცვასთან და სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, რაც მიგვანიშნებს, რომ ხელისუფლება იმაზე მკაცრად ურევს ხელს ბიზნესში, ვიდრე ეს ლიბერალური ეკონომიკის მიმდევარი რეპუტაციის ქვეყანას ეკადრება.

მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივე და გლობალური კონკურენტულობის ინდექსი



გლობალური კონკურენტულობის ინდექსი 2010-2011
წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივე 2011
წყარო: მსოფლიო ბანკი

ევროპული არჩევანი

საქართველოს განვითარების მესამე მოდელს „ევროპა“ სთავაზობს, თუმცა ევროპეიზაციას უამრავი ფორმა აქვს და ეს იდეაც უფრო დეტალურ ანალიზს საჭიროებს. საქართველო გამოწვევის წინაშე დგას – ის თავს აღიქვამს ევროპულ სახელმწიფოდ, რომელსაც, ამავე დროს, ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა არ გააჩნია. ეს კი, თავის მხრივ, ბადებს კითხვას, თუ როგორ უნდა დაამყარონ ერთმანეთთან ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობა ბრიუსელმა და საქართველომ.

ქართველები ნამდვილად არ არიან გულგრილნი ევროპასთან გაერთიანების იდეისადმი. საქართველო ერთ-ერთი გავლენიანი ევროპული ინსტიტუტის, კერძოდ, ევროპის საბჭოს წევრი 1999 წელს გახდა. გაწევრიანების დღეს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლისას საქართველოს პარლამენტის მაშინდელმა რეფორმატორმა თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ, ცნობილი განცხადება გააკეთა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. ევროპის საბჭომ თავის დროშად ლურჯ ფონზე 12 ოქროსფერი ვარსკვლავი 1955 წელს მიიღო, გაცილებით ადრე, ვიდრე ევროკავშირმა. სააკაშვილმა, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს პრეზიდენტმა, ეს ფაქტი მარჯვედ გამოიყენა და 2004 წელს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ევროპული დროშა საქართველოს სახელმწიფო უწყებების წინ განათავსა.

თავის გამოსვლებში სააკაშვილი ევროპას „ცივილიზაციის“, „კულტურის“ და „ქცევის მაღალი სტანდარტების“ კონტექსტში მოიხსენიებს. 2004 წელს თავის საინაუგურაციო გამოსვლაში მან ევროპულ დროშაზე ბრძანა: „ეს დროშა საქართველოს სახელმწიფოს დროშაც არის, რამდენადაც ის განასახიერებს ჩვენს ცივილიზაციას, კულტურას, ისტორიის არსს, პერსპექტივებს და ჩვენი მომავლის ხედვას“. 2008 წლის აპრილში ბუქარესტში ნატოს სამიტზე გამგზავრებამდე სააკაშვილმა შორეული წარსული გაიხსენა: „საქართველოს ევროპულ მომავალზე საუბრისას უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ჩვენს მიერ დღეს გაკეთებული არჩევანი არ არის, ჯერ კიდევ ჩვენმა წინაპრებმა აირჩიეს ევროპული გზა და ორიენტირად დაისახეს. ქართული და ევროპული ცივილიზაციები ისე არიან ერთმანეთს გადაჯაჭვულნი, რომ ძნელი სათქმელია, ევროპაშია ჩვენი ფესვები თუ პირიქით, საქართველოში იღებს სათავეს ევროპული ცივილიზაცია“. ამავე გამოსვლაში პრეზიდენტმა არქეოლოგიური აღმოჩენები ახსენა და სიამაყით განაცხადა, რომ სიტყვა „მედიცინა“ ანტიკური ხანის ქართველი დედოფლის სახელიდან, მედეადან წარმოიშვა.

თუმცა, იმ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატები ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო სააკაშვილის საქართველოსთვის. ის იყო საქართველოს მთავარი პოლიტიკური და ეკონომიკური მფარველი და უსაფრთხოების დამცველიც. ევროკავშირის ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, პროამერიკული განწყობილებები იმდენად ძლიერია ხელისუფლებაში: „საქართველოს ხელისუფლებას ამერიკული დროშის

დაკიდება რომ შეეძლოს თბილისის თავზე, ნამდვილად გააკეთებდა ამას. ევროკავშირი მისთვის საუკეთესოთა შორის მხოლოდ მეორე არჩევანია“.

დიდი ხანი არ არის, რაც ევროკავშირი აქტიურად გამოჩნდა ქართველთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. 2008 წელს, აგვისტოს ომის შემდეგ, ევროკავშირმა მონიტორინგის მისია გაგზავნა საქართველოში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციულ საზღვრებზე სადამკვირვებლოდ, 2009 წელს კი აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა წამოიწყო თავისი ექვსი მეზობელი სახელმწიფოსთვის, მათ შორის საქართველოსთვის. ამ პროგრამამ უკვე მნიშვნელოვანი შედეგი მოუტანა საქართველოს: გამარტივდა და გაიაფდა ევროკავშირის სახელმწიფოებში შესასვლელი ვიზის მიღება მოსახლეობის რამდენიმე კატეგორიისთვის.

ქაღალდის პარტნიორობის გამყარება

ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობას საფუძველი 2009 წელს ჩაეყარა. ამ პროგრამის მიზანია ინსტიტუციურად გაამყაროს ბრიუსელის თანამშრომლობა აღმოსავლეთით მდებარე ექვს ყოფილ საბჭოთა ქვეყანასთან. ეს ქვეყნებია: ბელარუსი, უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი. ალბათ, უიღბლო დაამთხვევაა,[42] რომ ამ ექვსი ქვეყნის სახელწოდების გაერთიანებით მიღებული სიტყვა „BUMAGA“, რუსულ ენაზე „ქაღალდს“ ნიშნავს. ამ პარტნიორობის იდეა კი მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას პროექტი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „მსუბუქი გაფართოება“ ანუ ინტეგრაცია გაწევრიანების გარეშე. ამ ქვეყნებს არ აქვთ ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა (სულ ცოტა უახლოესი ათი წლის განმავლობაში მაინც), მაგრამ მათ შესთავაზეს ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობის ზოგიერთი უპირატესობა, როგორიცაა სავიზო რეჟიმის გამარტივება და სავაჭრო პრივილეგიები. ამ ყველაფერს ისინი იმ პირობით მიიღებენ, თუ იკისრებენ საკუთარი ინსტიტუტებისა და ბაზრების გარდაქმნას.

პროექტის დაფინანსება შედარებით მოკრძალებულია, თუმცა, ამ ქვეყნებისთვის არც თუ უმნიშვნელო. აღმოსავლეთის პარტნიორობა გეგმავს 2010-2013 წლებში ამ ექვსი ქვეყნისთვის გამოყოს დაპირებულზე $600 მილიონით მეტი. პროექტი ისეთივე ყურადღებას უთმობს საზოგადოებას, როგორც სახელმწიფოს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ქვეყნებში ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია მთავრობაზე უფრო პროევროპულია, აღმოსავლეთის პარტნიორობამ აგრეთვე შექმნა სამოქალაქო საზოგადოების მუდმივმოქმედი ფორუმი.

როგორც ევროკავშირის საგარეო ინიციატივების უმეტესობაში, *აღმოსავლეთის პატნიორობაშიც* თავი იჩინა 27 წევრი სახელმწიფოს ინტერესთა სხვადასხვაგვარობამ. *აღმოსავლეთის პარტნიორობის* პარალელურად *ხმელთაშუა ზღვის კავშირის* პროექტიც ხორციელდება. ეს პროექტი იმავე უპირატესობებს სთავაზობს ევროკავშირის სამხრეთელ მეზობლებს. გასაგები მიზეზების გამო, საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი უფრო ფოკუსირებული არიან სამხრეთისკენ; განსაკუთრებით, 2011 წლის „არაბული გაზაფხულის“ ფონზე. ხოლო *აღმოსავლეთის პარტნიორობის* სულის ჩამდგმელები, პოლონეთი და შვედეთი, ბალტიის სამ ქვეყანასთან ერთად, უფრო მეტად პოსტკომუნისტური აღმოსავლეთით არიან დაინტერესებული.

ექვსი სრულიად განსხვავებული ქვეყნის გაერთიანებამ ბრიუსელს პოლიტიკური თავსატეხი გაუჩინა. მოლდოვასა და უკრაინას ბევრად მეტი ინტერესი აქვთ

ევროკავშირთან ინტეგრაციისა, ვიდრე აზერბაიჯანსა და ბელარუსს, სადაც *აღმოსავლეთის პარტნიორობის* დაარსების შემდეგ მეტი რეპრესიულობა შეინიშნება. ევროკავშირის წარმომადგენლები გვარწმუნებენ, რომ აღმოსავლეთის ქვეყნების ერთობლივმა ძალისხმევამ უბიძგა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მოლდოვასთვის, უკრაინისა და საქართველოსთვის სავიზო პროცედურები გაემარტივებინათ. *აღმოსავლეთის პარტნიორობის* ჩარჩოს მიღმა ამის მიღწევა ბევრად უფრო ძნელი იქნებოდა. მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთან დადებული სავიზო შეთანხმება, რომელიც 2011 წლის 1 მარტს ამოქმედდა. ის უმარტივებს და უიაფებს ევროკავშირში ჩასვლას ბევრ ქართველს: ბიზნესმენებს, მეცნიერებს, სტუდენტებს, ჟურნალისტებს და ევროკავშირში მცხოვრებთა ოჯახის წევრებს.

მიუხედავად ამისა, იზრდება უკმაყოფილება იმით, რომ *აღმოსავლეთის პარტნიორობა* არის ზედმეტად ტექნიკური და სათანადოდ არ ითვალისწინებს აღმოსავლეთის ქვეყნების მნიშვნელოვან პოლიტიკურ რეალობებს. ლაპარაკია პოლიტიკურ რეპრესიებსა და მოუგვარებელ კონფლიქტებზე. ამის გამო 2011 წელს შეიძლება შეიცვალოს პოლიტიკური სლოგანი „მეტი მეტის წილ“ – ეს ნიშნავს, რაც მეტს გააკეთებენ ქვეყნები, მით მეტ ფინანსურ დახმარებას მიიღებენ ბრიუსელისგან. მართალია, ამას პირდაპირ არ ამბობენ, მაგრამ ეს ძალაუნებურად მიგვიყვანს „ნაკლები ნაკლების წილამდე“. 2011 წლის მარტში ბრიუსელში პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადეკ სიკორსკიმ ამ იდეაზე ილაპარაკა:

> „... მეჩვენება, რომ ის მოდელი, რომელმაც ჩვენ, ცენტრალური ევროპის ქვეყნები, ევროკავშირამდე მოგვიყვანა დღეს უწინდელივით ეფექტურად ვეღარ მუშაობს. ის მოდელი კი ასეთი იყო: ჯერ იყო თავდაუზოგავი მუშაობა, რეფორმების მომქანცველ პერიოდში; ამ პერიოდის ბოლოს კანდიდატი ქვეყნები მივიღებდით დიდ ჯილდოს – წევრობას. რაკიღა აღარ შეგვიძლია ანალოგიურად დავაჯილდოვოთ აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნები, უნდა შევქმნათ მცირე ჯილდოების სისტემა. სისტემა შეთანხმებული იქნება თითოეული ქვეყნის პოლიტიკურ ამოცანებთან. ამგვარმა მიდგომამ მთავრობებს უნდა გაუჩინოს მოტივაცია, განახორციელონ თავიანთთვისაც სასარგებლო რეფორმები. ამისთვის კი უფრო პოლიტიკური მიდგომაა საჭირო...“.[43]

აღმოსავლეთის პარტნიორობის მეორე სამიტი, 2011 წლის ოქტომბრისთვის დაგეგმილი, იქნება ამ უფრო პროაქტიული მიდგომის პირველი გამოცდა.

ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ სააკაშვილს დღესდღეობით მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ინტეგრაცია. გიგა ბოკერიას თქმით: „არც არსებობს სხვა გარემო თუ სხვა ოჯახი, რომელშიც ჩვენ შევეთვისებოდით“. ახალგაზარდა მეცნიერი თორნიკე გორდაძე, რომელიც წლების განმავლობაში საფრანგეთში ცხოვრობდა, დაბრუნების შემდეგ კი, 2010 წელს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა ევროკავშირთან მოლაპარაკების მიმართულებით, ამბობს: „ერთი-ორი წელი დასჭირდა ევროკავშირთან ურთიერთობის პოლიტიკის შემუშავებას. დღეს ევროკავშირი ჩვენი პრიორიტეტია და აღარავინ კამათობს იმაზე, საჭიროა ის ჩვენთვის თუ არა“. მისთვის ჩვეული ხატოვანებით პრეზიდენტი ახლა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივაზე საუბრობს,

მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელთან მოლაპარაკების დღის წესრიგში ეს საკითხი არ დგას. 2011 წლის მარტში, ვაშინგტონში სტუმრობისას, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გაწევრიანების მომავალი „არცთუ ისე შორსაა“.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი კითხვა ჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს ამ კურსის პრაქტიკაში გატარება. საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ევროპისადმი ასახავს პრეზიდენტის რიტორიკას, რომელიც არარეალურად ოპტიმისტურია და საკმაოდ ბუნდოვანიც. 2009 წელს ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი იმედოვნებს ევროკავშირში გაწევრიანებას: დაახლოებით ერთი მესამედი ფიქრობს, რომ საქართველო გაწევრიანებისთვის მზად იქნება ხუთ წელიწადზე ნაკლებ დროში, ხოლო მეხუთედს მიაჩნია, რომ ამისთვის ქვეყანას ხუთიდან ათ წლამდე დასჭირდება. ევროკავშირის შესახებ ცოტა რამ იცის მოსახლეობამ. გამოკითხულთა მეხუთედს ჰგონია, რომ საქართველო უკვე არის ევროკავშირის წევრი, ხოლო 39 პროცენტმა შეცდომით თქვა, რომ საქართველო არ არის ევროპის საბჭოს წევრი. რაც შეეხება აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამას, რესპონდენტთა მხოლოდ 9 პროცენტმა უპასუხა სწორად, რომ პროგრამის მიზანი „ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციაა“ და არა „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ ან „ევროკავშირში გაწევრიანება“, როგორც დანარჩენებმა მიუთითეს.[44]

ამას გარდა, საქართველოს ხატი როგორც „უძველესი ევროპული ცივილიზაციის“ ქვეყნისა, არ აისახება თანამედროვე ევროპულ დამოკიდებულებებში სოციალური, სექსუალური თუ გენდერული საკითხებისადმი. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრების (CRRC) მიერ ჩატარებული გამოკითხვები გვაჩვენებს, რომ ბევრ ქართველს არ შეუცვლია ძველი დამოკიდებულება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისა თუ ქალის როლის მიმართ. ისინი მტრულად არიან განწყობილი ჰომოსექსუალების მიმართ და უარყოფითად აფასებენ სექსს ქორწინებამდე.

საქართველოში არსებულ რეალობას სხვადასხვაგვარი ნიუანსები აქვს. მაგალითად, ერთ-ერთი გავლენიანი იდეოლოგიური ჯგუფი, ულტრალიბერალური სოციალური თუ ეკონომიკური შეხედულებებით, ამავე დროს სკეპტიკურად არის განწყობილი ბრიუსელთან ურთიერთობისადმი. ლევან რამიშვილმა, თავისუფლების ინსტიტუტის წამყვანმა ლიბერტარიანელმა მოაზროვნემ, ევროკავშირში გაწევრიანება „ტიტანიკზე“ ბილეთის აღებას შეადარა, ხოლო ამ ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელი, მიხეილ თავხელიძე, თავისუფლების ინსტიტუტის მთავარ გამოცემაში, კერძოდ, ჟურნალ „ტაბულაში,“ წერს: „ევროკავშირი დღეს არაფერია, თუ არა ინსტიტუციონალიზებული განვითარებული სოციალიზმი. თანამედროვე ევროპული ბიუროკრატიის აზრით, სოციალიზმის იდეოლოგია სავალდებულოა არა მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, არამედ მათი მეზობლებისთვის, მათ შორის ჩვენთვისაც“.[45]

ქართველებისთვის ევროკავშირი უფრო მეტად დროშა ან სიმბოლოა და არა კონკრეტული ეკონომიკურ-პოლიტიკური მოდელი ან სოციალური ნორმების ერთობლიობა.

შეჯამების სახით ვიტყვით, რომ ქართველთა უმრავლესობა „ევროპას“, სააკაშვილის კვალდაკვალ, კულტურული და ტრადიციული ფასეულობების ცენტრად აღიქვამს, მაგრამ სინამდვილეში ვერ წარმოუდგენია, თუ რას ნიშნავს თანამედროვე ევროკავშირი. ქართველებისთვის ევროკავშირი უფრო მეტად დროშა ან სიმბოლოა და არა კონკრეტული ეკონომიკური და პოლიტიკური მოდელი ან სოციალური ნორმების ერთობლიობა.

საქართველო, ევროპა და თავისუფალი ვაჭრობა

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ძალზე რუტინულიცაა და ტექნიკურიც. ამავე დროს, ის უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის. საქმე ეხება *თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებას (DCFTA)* საქართველოსა და ბრიუსელს შორის, რომელიც საქართველოს ევროკავშირის ბაზრის გახსნას სთავაზობს ინსტიტუციურ და მარეგულირებელ სფეროებში რეფორმების გატარების სანაცვლოდ.

სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან ერთად თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივა სატყუარას როლს თამაშობს საქართველოსთვის ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით გახანგრძლივებული მოლაპარაკების კონტექსტში. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონა ახალი იდეაა, რომელიც ევროპის „სამეზობლო პოლიტიკის" ფარგლებში შემუშავდა. სახელმწიფოებს, რომლებიც მნიშვნელოვან მეზობლებად მიიჩნევიან, მაგრამ რომლებსაც არ მიუღიათ ევროკავშირში გაწევრიანების მიწვევა, სთავაზობენ ევროკავშირის უზარმაზარ საერთო ბაზარზე შესვლის პერსპექტივას. ამის სანაცვლოდ ამ მეზობელ სახელმწიფოებს ბრიუსელი მოუწოდებს, მიიღონ ისეთი მარეგულირებელი წესები და სტანდარტები, რომლებიც მათ ეკონომიკას უფრო მეტ შესაბამისობაში მოიყვანს ევროკავშირთან. ევროკავშირის ერთ-ერთი თანამდებობის პირის თქმით: „ეს პროცესი ევროპის სინამდვილეს ქმნის ამ სახელმწიფოებში". ჰარმონიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი ამოცანაა საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდა სტანდარტების დონის ამაღლებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს იმპორტ-ექსპორტის უარყოფითი ბალანსი აქვს, რაც მის ეკონომიკას საგარეო ფაქტორებზე დამოკიდებულს ხდის. ამას გარდა, სოფლის მეურნეობის სექტორიც ძალზე სუსტია. მსოფლიო ბანკის 2009 წლის კვლევაში ნათქვამია, რომ საქართველო სრულად ვერ იყენებს თავის შესაძლებლობებს ისეთ სექტორებში, როგორიცაა სამშენებლო მასალების, მსუბუქი მრეწველობის, ფარმაცევტული ნაწარმისა და სამედიცინო ტექნიკის წარმოება. არადა ამ სფეროებში ბევრი სამუშაო ადგილი შეიქმნებოდა.[46] ამ თვალსაზრისით საქართველოს მეზობელი თურქეთი კარგ მაგალითს იძლევა. თურქეთმა მკვეთრად გაზარდა თავისი საწარმოო შესაძლებლობები და ექსპორტი ევროკავშირში მას შემდეგ, რაც 1996 წელს ევროკავშირთან გაფორმებული საბაჟო კავშირის ხელშეკრულების განხორციელება დაიწყო.

ევროკავშირი-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობის თაობაზე 2008 წელს ჩატარებულ შესაძლებლობათა კვლევაში ნათქვამი იყო, რომ თავისუფალი ვაჭრობის მარტივი

რეჟიმი ბევრს არას არგებდა საქართველოს, ვინაიდან საქართველოს უკვე გაუქმებული ჰქონდა თითქმის ყველა სავაჭრო ტარიფი ახალი ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის შედეგად. ამიტომ, როგორც კვლევის ავტორებმა დაასკვნეს, საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა უფრო ამბიციური „ღრმა და ყოვლისმომცველი" შეთანხმების გაფორმება ევროკავშირთან. ამ შეთანხმების შედეგად „საქართველო შეძლებდა ინვესტირებისთვის რისკის დონის შემცირებას, რაც საქართველოს ინვესტირებისთვის ხელსაყრელ და უსაფრთხო ქვეყნად გადაქცევის უწყვეტი პროცესის მაჩვენებელი იქნებოდა" და ეკონომიკის 6 პროცენტზე მაღალ წლიურ ზრდას შეუწყობდა ხელს.[47]

თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმებისთვის აუცილებელი ჰარმონიზაცია რთული პროცესია, მაგრამ საქართველოს ჯერ არ მოეთხოვება, რომ მიიღოს *acquis communautaire*-ის (ევროკავშირის კანონმდებლობა) ათასობით გვერდი, რაც აუცილებელი მოთხოვნაა ევროკავშირის სრული წევრობისთვის. მოსალოდნელია, რომ ეს პროცესი ხანგრძლივი იქნება. ოფიციალურ მოლაპარაკებებს საავარაუდოდ ორ წელიწადზე მეტი დრო დასჭირდება, შემდეგ კი დადგება გარდამავალი ეტაპი შეთანხმების სრულ განხორციელებამდე, რაც შეიძლება ათი წელი გაგრძელდეს.

ბრიუსელმა 2008 წელს დაიწყო მოლაპარაკება *თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებასთან* დაკავშირებით უკრაინასთან. მაგრამ საქმე ნელა მიდიოდა წინ, განსაკუთრებით კი, 2010 წლის შემდეგ, როცა კიევში ხელისუფლება შეიცვალა. ევროკავშირის მაღალი რანგის მოხელეები ამბობენ, რომ უკრაინის მთავრობასთან მუშაობისას მიღებული უსიამოვნო გამოცდილება გახდა ის მიზეზი, რომლის გამოც გადაწყდა, თბილისისთვის უფრო მეტი პირობები პროცესის დასაწყის ეტაპზევე წამოეყენებინათ და მოეთხოვათ, რომ კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ოფიციალური მოლაპარაკების დაწყებამდე შესდგომოდა. როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი წარმომადგენელი ამბობს, „გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ქართველები სწორ გზას ადგანან და უკან არ დაიხევენ. ჩვენ კარგად უნდა ვიყოთ დაზღვეულები". პირველი „მოლაპარაკება მოლაპარაკების შესახებ" ბრიუსელსა და საქართველო შორის 2008 წელს ჩატარდა, თუმცა ორი წლის განმავლობაში საქმე მაინცდამაინც წინ არ წასულა. ამასობაში აღმოჩნდა, რომ მოლდოვა უფრო დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს და მალე ბრიუსელშიც ისეთი ქვეყნის სახელი მოიპოვა, რომელიც აღმოსავლეთის პარტნიორობის მონაწილე ექვს სახელმწიფოს შორის ყველაზე მეტად იყო მზად ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის.

მოთხოვნები, რომლებსაც ბრიუსელი აყენებს, ოთხ ძირითად სფეროს ეხება. ესენია: ტექნიკური ბარიერების მოხსნა ვაჭრობისთვის, სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები სოფლის მეურნეობაში, კონკურენციის პოლიტიკა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. ბრიუსელი მოითხოვს საქართველოს მთავრობისგან, რომ მან ახალი კანონმდებლობა და მარეგულირებელი წესები მიიღოს საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის ევროპულ სტანდარტებთან მიახლობის მიზნით, რაც ამ პროდუქციის ევროკავშირის საერთო ბაზარზე შესვლას უზრუნველყოფდა. ორი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით თითქმის არაფერი გაკეთებულა, მაგრამ 2010 წლის ბოლოსა და 2011 წლის დასაწყისისთვის საქმე დაიძრა. კერძოდ, დაარსდა სურსათის სტანდარტების სააგენტო (ძველი სამსახური 2006 წელს, ბენდუქიძის ხელმძღვანელობით გატარებული რეფორმების დროს, გაუქმდა) და პირველად ჩატარდა ფერმების ვეტერინარული ინსპექცია. ასევე დაარსდა კონკურენციის სააგენტო, თუმცა, ჯერ არ არის მიღებული კანონმდებლობა, რომელიც მის საქმიანობას დაედება საფუძვლად.

2011 წლის გაზაფხულზე მოლაპარაკება გაიწელა და გაისმა ორმხრივი ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, თუ რამ განაპირობა ეს. საქართველოს მთავრობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ვახტანგ ლეჟავამ, რომელიც მოლაპარაკებას ხელმძღვანელობდა,

იმედი გამოთქვა, რომ 2011 წლისთვის უთანხმოებები აღმოიფხვრებოდა, მაგრამ დაიჩივლა, რომ მისი მთავრობისგან „მოძრავ სამიზნეში“ მოხვედრას მოითხოვდნენ.

ქართველები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ ევროკავშირის ვაჭრობის გენერალურ დირექტორატს არ ესმის საქართველოს მისწრაფებების და მხოლოდ ისეთი დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნები აინტერესებს, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი. ამას გარდა, საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა ევროკავშირის წარმომადგენლების გაღიზიანებაც გამოიწვიეს საჯაროდ გამოთქმული მოსაზრების გამო, რომ თითქოს ბრიუსელი იმიტომ აჭიანურებს საქმეს, რომ საქართველოს უარი ათქმევინოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების დაბლოკვაზე. როგორც გიგა ბოკერიამ განაცხადა: „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ მაინც ვღელავთ ამის გამო.“

ევროკავშირის წარმომადგენლები შეშფოთებას გამოთქვამენ, რომ ქართული მხარე წინადადებებს მოლაპარკების დაწყების შესახებ მხოლოდ პოლიტიკური მიზნებით აყენებს, რეალურად კი არ სურს გრძელვადიანი ვალდებულების აღება. სწორედ ამიტომ ითხოვენ ისინი საქართველოს ხელისუფლების მიერ ინსტიტუციური რეფორმების გატარების უფრო მეტ მტკიცებულებას. ევროკავშირის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თქვა, რომ „მათთვის [ქართველებისთვის] პროცესის დაწყებაა მთავარი. ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია „პირველი საქმის წარმატებით დასრულება“. სხვა მაღალჩინოსანმა აღნიშნა: „ვშიშობთ, რომ ქართველები მხოლოდ მოლაპარაკების დაწყებით არიან დაინტერესებულნი, რადგან ეს უცხოურ ინვესტიციებს მოიზიდავს, მათ მოლაპარაკების დასრულება არ აინტერესებთ“. პროევროპული ქართველი ექსპერტი კახა გოგოლაშვილიც იზიარებს ამ შიშს და ამბობს, რომ „ხელისუფლებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება უფრო პოლიტიკური ნიშნით სჭირდება.“

ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრმა (CEPS), რომელიც კრიტიკულადაა განწყობილი იმის მიმართ, თუ როგორ აწარმოებს ბრიუსელი მოლაპარაკებას, კიდევ უფრო გაამწვავა საკითხი და, შეიძლება ითქვას, ევროკავშირი დუელში გამოიწვია. ცენტრის მიერ მომზადებულ ანგარიშში ბრიუსელის დირექტორატებს საყვედურობენ, რომ ისინი საკითხს ვიწროდ უდგებიან და ერთნაირი პოლიტიკა აქვთ ყველა იმ ქვეყნისთვის, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების გაფორმებას ურჩევენ. შეთანხმება ხომ გაუმართლებელ საკანონმდებლო-ნორმატიულ ტვირთს ჰკიდებს მთავრობებს. როგორც ანგარიშის ერთ-ერთმა ავტორმა, მაიკლ ემერსონმა, თქვა, „სანამ საქართველო არ გამდიდრდება, ეკონომიკური ზრდის სწრაფი მატებისთვის ის არ უნდა დაიბეგროს და არც მისი მცდელობები უნდა შეფერხდეს ამ მიმართულებით“.

თუ საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები, თურქეთი და უკრაინა, დანერგავენ ევროპულ სტანდარტებს, მაშინ საქართველომაც უნდა მიიღოს ისინი, თუ უნდა, რომ კონკურენტუნარიანი გახდეს და გავიდეს დიდ ევროპულ ბაზარზე.

ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრის ნაშრომში წამოჭრილი საკითხების კომპეტენტურად გადაწყვეტა მხოლოდ ეკონომისტებს და ვაჭრობის სფეროს პროფესიონალებს შეუძლიათ. ევროკავშირის მაღალჩინოსნები კი კრიტიკას მედგრად იგერიებენ და ამბობენ, რომ ანგარიშში გამოთქმული ბევრი ვარაუდი მცდარია, რომ საქართველოსა და ევროკავშირის

ნორმატიული ბაზების ჰარმონიზაცია თანდათანობით მოხდება და რომ საფერმერო სექტორისთვის საჭირო რეგულირების რთული მექანიზმები შეიძლება ნელ-ნელა, წლების განმავლობაში დაინერგოს. მოკლედ, ევროკავშირის წარმომადგენლები და თავდაპირველი შესაძლებლობათა კვლევის ერთ-ერთი ავტორიც იცავენ თავიანთ მონაცემებსა და დასკვნებს.[48]

ბრიუსელის არგუმენტი ის გახლავთ, რომ თუ საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები, მაგალითად, უკრაინა და თურქეთი, დანერგავენ ევროკავშირის სტანდარტებს, მაშინ საქართველომაც უნდა მიიღოს ისინი, თუ უნდა, რომ კონკურენტუნარიანი გახდეს და გავიდეს დიდ ევროპულ ბაზარზე. ისინი იმოწმებენ *მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის* მიერ ჩატარებულ კვლევას საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებზე. მსოფლიო ბანკის კვლევის შედეგების მიხედვით, მწარმოებელთა უმრავლესობამ მიიღო ეს პრინციპი და მზადყოფნა გამოხატა, დაეკმაყოფილებინა საკვების უვნებლობის გაუმჯობესებული სტანდარტები, მიუხედავად იმისა, რომ ამას ხარჯების გაზრდა მოჰყვებოდა.[49]

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებას, ძირითადად, ორი ჯგუფი უწევს წინააღმდეგობას საქართველოში. ლიბერალური ეკონომიკის მომხრე ქართველები ევროკავშირის რეგულაციებსა და დირექტივებთან საქართველოს საკანონმდებლო ბაზის დაახლოების საკითხს ეჭვის თვალით უყურებენ. ლიბერტარიანელი მოაზროვნე კახა ბენდუქიძე ამბობს: „საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მარტივი შეთანხმება სჭირდება, რაც პირველ რიგში საქონლის თავისუფალ მოძრაობას ნიშნავს, ამის შემდეგ კი შესაძლებელი იქნება სხვა საკითხებზე საუბარი“. უფრო ღრმა ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებაზე კი ის ამბობს: „ვფიქრობ, რომ ამ იდეის სულისჩამდგმელი ზოგიერთი ქართველი ექსპერტი და მთავრობის ჩინოვნიკია, რომლებსაც გარკვეული დაინტერესება ჰქონდათ, რომ მოლაპარაკება წარმართულიყო და ფული შემოსულიყო ქვეყანაში. მათ უღალატეს ჩვენს ინტერესებს“. „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი ლევან რამიშვილი შიშობს, რომ ევროკავშირის რეგულაციები და დირექტივები ხელახლა გააჩენს კორუფციას საქართველოში; მისი თქმით: „კორუმპირებული სისტემა მოერგება ევროპულ შეფუთვას და შეიძლება გადარჩეს კიდეც. საფრთხე ის არის, რომ ევროპული კანონებით უგვანი საბჭოთა პრაქტიკა შეინიღბება“.

ევროპასთან უფრო მჭიდრო კავშირის წინააღმდეგ, სავარაუდოდ, კიდევ ერთი ჯგუფი წავა, რომელიც ნაკლებად საჯაროა – ამ ჯგუფში შედიან „ძველი საქართველოს“ ოლიგარქიული კულტურის წარმომადგენლები. მათ ბიზნეს-ინტერესებს ჯერჯერობით არ მიუპყრია არც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და არც ევროკავშირთან მიმდინარე მოლაპარაკების მწარმოებლების განსაკუთრებული ყურადღება. ევროკავშირის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ამბობს, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობის ყველა სახელმწიფოში იგრძნობა იმის შიში, რომ ევროპასთან უფრო მჭიდრო კავშირი ტროას ცხენი აღმოჩნდება, რომელიც სააშკარაოზე გამოიტანს ფარულ მაქინაციებს ბიზნესის კეთებაში. ყველაზე ნათლად ეს უკრაინაში ჩანს, სადაც, როგორც ერთ-ერთი ექსპერტი ამბობს, არსებობს „მსხვილი ბიზნესმენების მცირე ჯგუფი, რომლისთვის *თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება* შესაძლოა სასიცოცხლო საფრთხეს წარმოადგენდეს“.[50]

ეს ყველაფერი შემაფერხებელი ფაქტორებია ბრიუსელთან მოლაპარაკების მწარმოებელი ქართული ჯგუფისთვის. ვახტანგ ლეჟავა და თამარ კოვზირიძე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები არიან მოლაპარაკებაში. ისინი კახა ბენდუქიძის მოწაფეები არიან. ინტერვიუში ბატონმა ლეჟავამ მითხრა: “DCFTA-ს აქვს თავისი დადებითი მხარეები. და ვინაიდან ევროკავშირის კანონმდებლობა კონსენსუსის შედეგია,

ყოველთვის შესაძლებელი იქნება მისი გონივრულად გამოყენება. მართალია, მე სამუშაო მომემატება, მაგრამ პოტენციური სარგებელი იმდენად დიდია, რომ გადაწონის“. ჩემს რესპონდენტს ევროკავშირის მოთხოვნების იდეურ დასაბუთებაზე საუბარი დიდად არ ხიბლავდა. მოთხოვნები მისთვის სხვა არაფერი იყო, თუ არა მიზნის მიღწევის საშუალება. როგორც მან თქვა: „მე პრაგმატისტი ვარ. ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ არის კარგი, რომ იცვლება თავისუფალ ვაჭრობაზე“.

სარგებელი, რომელიც *თავისუფალი ვაჭრობის ღრმა და ყოვლისმომცველმა შეთანხმებამ* შეიძლება მოუტანოს საქართველოს, დიდია, თუმცა ქვეყნისათვის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე დისკუსიისას, ევროკავშირს აქამდე ბევრი არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ მკაფიოდ და თანმიმდევრულად გადმოეცა საქართველოსთვის ინსტიტუციური რეფორმების სარგებლიანობის შესახებ და განემარტა, თუ როგორ შეიძლება დაიფაროს ხარჯები. თეორიულად მოსალოდნელი იყო, რომ ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ ევროკავშირი საგარეო პოლიტიკის უფრო ფოკუსირებულ და ერთიან კურსს აირჩევდა, რომელსაც საგარეო ურთიერთობათა ახალი სამსახური გაუძღვებოდა. თბილისში ეს იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირის ახალი ელჩი, ბულგარეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ფილიპ დიმიტროვი გახდებოდა „ევროპის სახე,“ რომელიც შეძლებდა უფრო გასაგები „მესიჯის“ მიწოდებას ქვეყნისთვის. რეალურად კი ბრიუსელი ისევ დამაბნეველ მესიჯებს გზავნის აღმოსავლეთელ მეზობლებთან ურთიერთობის სტრატეგიისა და საერთოდ თავისი ფილოსოფიის შესახებ. 2011 წლის 1 მარტს გაუქმდა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის საგანგებო წარმომადგენლის პოსტი და თანამდებობა დატოვა გამოცდილმა დიპლომატმა პიტერ სემნებიმ, რომელიც ცნობილი იყო ამ რეგიონში თავისი აქტიურობით და კარგი საქმიანი ურთიერთობით რეგიონის თითქმის ყველა სახელმწიფოს ლიდერთან. შეიძლება ითქვას, რომ ამ თანამდებობის გაუქმება უკან გადადგმული ნაბიჯი იყო, რომელმაც აჩვენა, რომ ბრიუსელის ინტერესმა ამ რეგიონისადმი იკლო. მიუხედავად იმ საქმიანობისა, რასაც ევროკავშირი საქართველოში ეწევა, და თანხებისა, რომლებსაც აქ ხარჯავს, ევროკავშირი მაინც არ აწვდის მკაფიო და თანმიმდევრულ გზავნილს საქართველოს.[51]

მართვის დინამიკური სტილი პრეზიდენტს უბიძგებს უფრო მეტი დაპირება მისცეს მოსახლეობას, ვიდრე რეალურად შეუძლია შეასრულოს.

დასკვნა

ახალი ქართული პოლიტიკური ელიტა პოსტსაბჭოთა მეზობლებისგან განსხვავებულ გზას დაადგა – მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მთავრობა ჩამოაყალიბა და სახელმწიფოს მშენებლობისა და მოდერნიზების გამორჩეული პროექტის განხორციელება დაიწყო. ახალგაზრდა ლიდერებმა, თავიანთი უნარებისა და იღბლის წყალობით, რასაც საუცხოო პიარს ახმარდნენ, და დასავლელი მეგობრების მხარდაჭერით, საქართველო კეთილგანწყობილი ყურადღების ცენტრში მოაქციეს.

მათ რეალურ შედეგებს მიაღწიეს: წარმატებით აღმოფხვრეს ფართოდ გავრცელებული კორუფცია და დანაშაული; მოიზიდეს უცხოური ინვესტიციები. საქართველოს დღეს ძალზე ქმედითი სახელმწიფო სამსახურები აქვს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მის ბევრ მეზობელზე. თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ ბინა ან აიღოთ მართვის უფლება სწრაფად და ქრთამის გადაუხდელად. ეს უდიდესი მიღწევაა, თუ საქართველოს და საერთოდ ამ რეგიონის ტრადიციებს გავითვალისწინებთ. გიგა ბოკერიამ აღნიშნა: „პირველ რიგში ავგიას თავლა უნდა გაგვესუფთავებინა და აგვერჩია ისეთი მთავრობა, რომელიც ელემენტარულ საქმეებს გააკეთებდა და ძირითადი სახის მომსახურებას გაუწევდა მოსახლეობას“.

თუმცა, როგორც ბოკერიას ნათქვამიც მიგვანიშნებს, საქართველო ჯერ გზის დასაწყისშია. 2011 წლისთვის ქვეყნის განვითარების მიმართულებასთან დაკავშირებით შემაშფოთებელი ნიშნები გამოიკვეთა. თანამედროვე საქართველოს პროექტს ბევრი წინააღმდეგობრივი ასპექტი აქვს და გაცილებით ნაკლებად თავისუფალია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. მართალია, ზოგიერთი რეფორმის შედეგად გარკვეულ სფეროებში მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ ამავე დროს პრობლემები შეიქმნა სხვაგან. მაგალითად, პოლიციის რეფორმირებამ და დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ გატარებულმა ზოგადად წარმატებულმა ღონისძიებებმა, სანაცვლოდ წარმოშვა ისეთი სისხლისსამართლებრივი სისტემა, რომელშიც ბრალდებულის გამართლება თითქმის შეუძლებელია, ციხეები გადატვირთულია და შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელისუფლების ყველაზე ძლიერი იარაღია. ზოგიერთ სამართალდამცველ უწყებას კი, მაგალითად, საგადასახადო პოლიციას, იმდენად დიდი ძალაუფლება აქვს, რომ პოლიტიკური კონტროლის იარაღადაც აღიქმება. ეს კი იუვენალის ცნობილ კითხვას გვახსენებს: *”Quis custodiet ipsos custodes?“* ანუ „ვინ უდარაჯებს თავად დარაჯებს“?

როგორც ჩანს, მმართველ ელიტას 2012-2013 წლებში არაფერი ემუქრება. ძლიერი პოლიტიკური ოპოზიცია ისევ არ ჩანს და ხელისუფლებაც საკმარისად აკონტროლებს სახელმწიფოს უმეტეს ნაწილს საიმისოდ, რომ ძლიერი ოპოზიცია არც გამოჩნდეს სცენაზე. პოლიტიკის ანალიტიკოსის არჩილ გეგეშიძის თქმით, ,,თუკი რაიმე დაემუქრება ამ ელიტას, ეს ისევ მისივე წიაღიდან მომდინარე საფრთხე იქნება." 2011 წლისთვის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. ინფლაციამ და მუდმივმა უმუშევრობამ უამრავი ქართველი გააღატაკა. მაგრამ საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური პროტესტის გამოხატვის ტრადიცია არ არსებობს და, სავარაუდოდ, ეს მოსახლეობის აპათიაში გადაიზრდება და არა დაუმორჩილებლობაში, რაც შეიძლებოდა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს გამოეყენებინათ.

საქართველოს საკითხებით დაინტერესებული უცხოელი მკვლევარების აზრით, ყველაზე აქტუალური საკითხი არის ის, თუ როგორ ჩატარდება მომავალი არჩევნები. კიდევ უფრო აქტუალური იქნება იმ ადამიანის პოლიტიკურ მომავალი, რომელიც 2004 წლიდან მართავს საქართველოს. თუ მიხეილ სააკაშვილი ქართული პოლიტიკური სცენიდან წასვლას მშვიდობიანად შეძლებს, ეს ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნისთვის. თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ის ლიდერები ვინც მის შემდეგ მოვლენ უფრო პროგრესულები იქნებიან.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თუ როგორ გამოიყენებს მმართველი პარტია თავის ძალაუფლებას 2012-2013 წლებში. მის გრძელვადიან სტრატეგიას ჯერჯერობით ნათლად ვერ ხედავენ გარე დამკვირვებლები და, როგორც ჩანს, ვერც თავად მმართველი პარტია.

მართვის დინამიკური სტილი პრეზიდენტს უბიძგებს უფრო მეტი დაპირება მისცეს მოსახლეობას, ვიდრე რეალურად შეუძლია შეასრულოს. მას უყვარს თამამი განცხადებების გაკეთება საქართველოს წარმატებებზე და მის მომავალზე, მაგრამ ნაკლებად ლაპარაკობს თანმიმდევრული ინსტიტუციური რეფორმების საჭიროებაზე. 2011 წლის თებერვალში, როცა პარლამენტს წლიური ანგარიში წარუდგინა, პრეზიდენტმა 2015 წლისთვის დასახული უაღრესად ამბიციური (თუ მიუღწეველი არა) მიზნებიც გააცნო დამსწრეებს. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, ექსპორტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის გაორმაგება, უმუშევრობის დღევანდელი დონის განახევრება და სახელმწიფო მოხელეებისთვის ხელფასის 50 პროცენტით მომატება. ამას გარდა, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონამდე გაიზრდება და რომ ხელისუფლება ევროკავშირსა და აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებს გააფორმებს.

არჩილ გეგეშიძე ამბობს, რომ ნათელ მომავალზე დარწმუნებით ლაპარაკი პრეზიდენტის საყვარელი პოლიტიკური ტაქტიკაა და რომ „ყოველ ჯერზე, როცა პრობლემის წინაშე დგება, პრეზიდენტი ახალ-ახალ მიზნებს აცნობს მოსახლეობას სულ სხვადასხვანაირი სიტყვებითა და ფორმულირებით". თუმცა ცხადია, რომ ეს ტაქტიკური ხერხი რისკიანია, რადგან ზრდის მოლოდინს იმ კონკრეტულ მომენტში, როცა პრეზიდენტი ლაპარაკობს, და ცინიზმს მოგვიანებით, თუ (ან როცა) მისი დანაპირები არ სრულდება. ამას შეიძლება მომავალ დროში ცხოვრება ვუწოდოთ, როდესაც ადამიანებს ვეუბნებით, რომ ოდესღაც მომავლში მათ რაღაცნაირად ნათელი დღეები დაუდგებათ, მაშინ, როცა დღევანდელი ყოფა ამას არ მოასწავებს.[52]

დღესდღეობით სტრატეგიული გზავნილი უამრავი და სხვადასხვაგვარია. სააკაშვილს ხან სინგაპური მოჰყავს საქართველოს განვითარების მაგალითად, ხან დუბაი, ხან

შვეიცარია და ესტონეთი. ერთ-ერთი უცხოელი დიპლომატი ხუმრობით ამბობს, რომ სააკაშვილს გზის გასაყართან მიმართებით „იოგი ბერას სტრატეგია“* აქვს არჩეული.

ამ ანგარიშში საქართველოს სამი სტრატეგიული და ეკონომიკური მიმართულების ძალზე სქემატური სურათია დახატული. შეიძლება ითქვას, რომ სამივე მათგანს ჰყავს მომხრეები. ერთ-ერთი მიმართულება, „ძველი საქართველო“, ეკონომიკური მოდელი კი არა, უფრო მეტად ტრადიციების ერთობლიობაა, რომელშიც ოჯახს, პატრონი-კლიენტის ქსელებს და გაურკვეველ ბიზნეს-საქმიანობას უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი. საქართველო ამ მოდელს შეიძლება დაუბრუნდეს იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკის მდგომარეობა გაუარესდება, დასავლეთი დაკარგავს ინტერესს ქვეყნისადმი და ხელისუფლებაში რეგრესიული ძალები გაძლიერდებიან.

მეორე გზას „სინგაპურის მოდელი“ წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სინგაპურის რეალობისგან ძალზე განსხვავდება ძირითად ასპექტებში. ამ მოდელის მომხრეები საქართველოს მინიმალური რეგულირების, დაბალი გადასახადებისა და ბიზნესისთვის მიმზიდველ ქვეყნად ხედავენ, რომელსაც სწრაფი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები მიეცემა, თუ საზღვრებს გაუხსნის ყველანაირ ინვესტორს და არ დაიტვირთება ზედმეტი და მკაცრი ნორმატიული ბაზით. ის, რასაც სააკაშვილის ადმინისტრაცია აკეთებს დღეს, უმეტესად ამ იდეებიდან იღებს სათავეს. ამის მაგალითია ბათუმის საზღვაო პორტის ქცევა მთელი რეგიონიდან ჩამოსული სტუმრებისათვის ტურიზმისა და კაზინოების ცენტრად.

მისასალმებელია ყველაფერი ის, რაც საქართველოს ბიზნესის საკეთებლად მიმზიდველ ადგილად და ინვესტორებისთვის მაგნიტად აქცევს, მაგრამ სინგაპურის მოდელად აღება უფრო მეტ შეკითხვას ბადებს, ვიდრე პასუხს. და, ბუნებრივია, კრიტიკას იმსახურებს. მთავარი კი ისაა, რომ ამ მიზნის მიღწევა უბრალოდ შეუძლებელია კულტურული, გეოგრაფიული და პოლიტიკური მიზეზებით. ეს მოდელი დოგმატურად რომ გამოგვეყენებინა, საქართველოს მოსახლეობის ფენებს შორის სოციალური დაყოფა გაღრმავდებოდა. საქართველოს ხელისუფლების გარკვეული საქმიანობა და წარმატებული მცდელობები ქალაქში მცხოვრები ელიტისთვის (რომელიც სინგაპურსაც ჰყავს) სასიკეთო აღმოჩნდა, მაგრამ სოფლად მცხოვრები ღარიბი მოსახლეობის (რომელიც სინგაპურში არ არსებობს) მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თითქმის არაფერი გაუკეთებია.

მესამე ეკონომიკურ მოდელს საქართველოს ევროკავშირი სთავაზობს, რაც ევროკავშირის საერთო ბაზარზე თანდათანობით შესვლას გულისხმობს. საქართველომ ინსტიტუციური მშენებლობა უნდა განავითაროს და საკანონმდებლო ბაზა ევროპულს დაუახლოოს, რათა საბოლოოდ მაღალი ხარისხის პროდუქციით ევრობაზარზე თავისი ნიშა იპოვოს. ამას გარდა, უფრო მეტი ინტეგრაცია ევროკავშირთან საქართველოს მოქალაქეებს სხვა სარგებელსაც მოუტანს, მაგალითად, უვიზო მიმოსვლას. მართალია, საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების საკითხი დღის წესრიგში ახლა არ დგას, მაგრამ არც ეს იქნება შეუძლებელი მომავალში, თუ საქართველო მუდმივად იმუშავებს ევროსტანდარტების მისაღწევად.

ევროპულ არჩევანს გეოპოლიტიკური მხარეც აქვს, რომელიც არ განგვიხილავს ამ ნაშრომში. ჩრდილოეთით საქართველოს რთული მეზობლობა აქვს რუსეთსა და არასტაბილურ კავკასიასთან და სიტუაცია სეპარატისტულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან

---

* იოგი ბერამ (Yogi Berra), XX საუკუნის ამერიკელმა ბეისბოლისტმა, მეგობარს გზას რომ ასწავლიდა სახლისკენ, რომელსაც ორი გზა უდგებოდა, უთხრა: „გზათგასაყართან რომ მიხვალ, ორივე გზას დაადექიო.“

დაკავშირებითაც კიდევ დიდხანს იქნება მოუგვარებელი. უფრო მჭიდრო ინტეგრაცია ევროკავშირთან ეკონომიკურ სასწაულს არ მოახდენს საქართველოში, მაგრამ როცა ევროპაში გაქვს ნავთსაყუდელი, პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაც შესაძლებელია, რაც, თავის მხრივ, სასიკეთო იქნება ეკონომიკის განვითარებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლების ენა ევროპის საკითხთან დაკავშირებით ხშირად ბუნდოვანია. თუმცა პოზიტიურ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ სააკაშვილისა და მთავრობის რამდენიმე წევრის მიერ სინგაპურ-ევროპის წრის გარღვევა და ესტონეთის მოხმობა მაგალითად. ესტონეთიც პატარა ყოფილი საბჭოთა ქვეყანაა, რომელმაც ეკონომიკაში ლიბერალური რეფორმები გაატარა და ევროკავშირის წევრიც გახდა. 2011 წლის 1 თებერვალს პრეზიდენტმა განაცხადა: „ჩვენ ვსწავლობთ სინგაპურისა და ესტონეთისაგან“.

ის, რომ ესტონეთი ინარჩუნებს თავის კონკურენტულ, ბიზნესისადმი კეთილგანწყობილ გარემოს, მაგრამ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ევროპისკენ აიღოს გეზი, ნამდვილად პოზიტიური მაგალითია საქართველოსთვის. თუმცა, თუ ამ საკითხს უფრო ჩავუღრმავდებით, ისიც ცხადი ხდება, თუ რა გრძელი გზა აქვს საქართველოს გასავლელი ევროკავშირთან მიახლოებისთვის. 2010 წლის იანვარში ტალინში სააკაშვილთან შეხვედრისას ესტონეთის პრეზიდენტმა თომას ილვესმა ურჩია ქართველ კოლეგებს, უფრო მომთმენნი ყოფილიყვნენ და სახელმწიფოს შიდა საქმეებისკენ, ქვეყნის მშენებლობისკენ მიემართათ ძალისხმევა, რადგან, მისი თქმით, „ენერგიის დახარჯვა იმ პრობლემებზე, რომლებიც ვერ მოგვარდება ახლო მომავალში, უნაყოფოა. საქართველომ სტრატეგიული მოთმინება უნდა აჩვენოს და ქვეყნის წარმატებული მშენებლობის იდეისადმი ერთგულება დაამტკიცოს.”[53]

ევროკავშირთან გაერთიანების მიზნით ესტონეთმა საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიცაზიისა და ინსტიტუციური მშენებლობისადმი ძალზე აქტიური და სისტემატური მიდგომა აირჩია: მან ახალ კანონში შეიტანა *acquis communautaire*-ის 75,000-ზე მეტი გვერდი, რაც ევროკავშირში გაწევრიანების პირობაა.[54] ესტონეთმა ასევე გადადგა ენერგიული ნაბიჯი და 2011 წელს ევროზონას შეუერთდა. ესტონელი დიპლომატი, რომელიც იცნობს საქართველოს და, მართალია, ძალიან თანაუგრძნობს მას რუსეთთან არსებული პრობლემების გამო, ადანაშაულებს ქართველებს, რომ მათ არ იტვირთეს ასეთი რუტინული და მძიმე სამუშაო. ევროკავშირში ესტონეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით იგი ამბობს: ,,ჩვენ უბრალოდ გავათვითცნობიერეთ, რომ თუ გინდა, რომ კლუბის წევრი გახდე, ამ კლუბის წესებით უნდა ითამაშო,” ხოლო, რაც შეეხება ქართველებს, მისი თქმით, ,,ისინი ხან სინგაპურისკენ მიილტვიან და ხან ევროპისკენ. ძნელია იმის თქმა, თუ რა არის მათი საბოლოო მიზანი. მათი განცხადებები არათანმიმდევრულია”.

როცა ევროპაში გაქვს ნავთსაყუდელი, პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაც შესაძლებელია, რაც, თავის მხრივ, სასიკეთო იქნება ეკონომიკის განვითარებისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ეჭვის თვალით უყურებენ ევროკავშირთან დაახლოების იდეას, ვინაიდან ვარაუდობენ, რომ ევროპულ მარეგულირებელ ბაზასთან ჰარმონიზაცია მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყანას. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თორნიკე გორდაძე მხარს უჭერს ევროპისკენ მიმავალ გზას, ისიც მოელის, რომ ჰარმონიზაციის პროცესი არაპოპულარული გახდება შიდა პოლიტიკაში. როგორც ის ამბობს: „პოლიტიკური თვალსაზრისით

[ევროკავშირის] ეს იდეა საკმაოდ რისკიანია. ჩვენ მისი დაბალანსება გვჭირდება. სინგაპურის მოდელი ძირითადად სიმბოლურია და შიდა მოხმარებისთვის არის გამიზნული“.

და რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, თანმიმდევრული მოძრაობა ევროკავშირისკენ იმას გულისხმობს, რომ მმართველი ელიტა იძულებული გახდება, უარი თქვას თავის არაფორმალურ პოლიტიკურ კულტურაზე და ფაქტიურ მონოპოლიაზე სახელმწიფოს თითქმის ყველა სექტორზე. ასეთი მდგომარეობა გვაფიქრებინებს: ხომ არ ხდება საქართველო შეუმჩნევლად ერთპარტიული მმართველობის ქვეყანა? ერთპარტიული მმართველობა არ ნიშნავს ავტორიტარულ სახელმწიფოს – მდგომარეობის კონტროლს ამ კუთხით უზრუნველყოფენ საქართველოში არსებული პლურალიზმის ტრადიციები და დასავლეთის მკაცრი მეთვალყურეობა – მაგრამ ერთი ჯგუფის ხანგრძლივი ბატონობა პოლიტიკურ სცენაზე არაჯანსაღი მოვლენაა თვით საკმაოდ ძლიერ დემოკრატიულ ქვეყანაშიც. საქართველოს ინსტიტუტები ჯერ კიდევ სუსტია, ქვეყანა დაუცველია პოლიტიკური არეულობისგან, რაც საერთაშორისო მოთამაშეებს გამოწვევის წინაშე აყენებს: შეძლებენ თუ არა ისინი საკუთარი ბერკეტების გამოყენებას იმისთვის, რომ მმართველ ელიტას ხელისუფლების შენარჩუნების ვიწრო ინტერესებიდან ყურადღება უფრო ღია და სრულყოფილი დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებისკენ გადააატანინონ?

თუ საქართველო ევროპული არჩევანის სასარგებლოდ იღებს გადაწყვეტილებას, მაშინ თბილისიდან და ბრიუსელიდან უფრო მკაფიო სიგნალები უნდა მოდიოდეს. საქართველოს მხრიდან ეს ნიშნავს, რომ ქვეყანამ ნათლად უნდა გამოხატოს, რომ ევროპისკენ დეკლარირებული სწრაფვა ევროკავშირის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოდელს ეხება და არა მხოლოდ ზოგადად ევროპულ ცივილიზაციას. ევროკავშირის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ამჟამად მოლდოვამ გაუსწრო საქართველოს, როგორც ყველაზე პროევროპულმა სახელმწიფომ აღმოსავლეთის პარტნიორობის ჯგუფში.

ევროკავშირის მხრიდან კი სიგნალი გულისხმობს უფრო მკაფიო დაპირებას, რომ საქართველოს წაახალისებენ პროევროპული პოზიციისთვის და რომ „გაფართოების მსუბუქ ვერსიას“ ნამდვილად მოაქვს სარგებელი იმ სახელმწიფოსთვის, რომელსაც ჯერჯერობით არ გააჩნია გაწევრიანების აშკარა პერსპექტივა. ამისათვის უნდა შემუშავდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბევრად უფრო პროაქტიული სტრატეგია, რათა საზოგადოებას მიეწოდოს უფრო სრულყოფილი ინფორმაცია იმ იდეების შესახებ, რომლებიც საფუძვლად უდევს აღმოსავლეთის პარტნიორობას და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებას. ამას გარდა, საჭიროა ქართული მხარის დარწმუნება იმაში, რომ ევროკავშირს შეუძლია უფრო მოქნილი პოლიტიკა გაატაროს ნაკლები მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ, როცა მკაცრი პირობების დაწესება აქვს გადაწყვეტილი პრინციპული საკითხებისთვის.

ვაშინგტონის სიტყვას მნიშვნელობა არ დაუკარგავს; და მას შეუძლია უბიძგოს საქართველოს სწორი მიმართულებისკენ, თუ მართალ და შეულამაზებელ ვერდიქტს მიიღებს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ტენდენციებზე.

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება და უფრო მჭიდრო ეკონომიკური ჰარმონიზაცია არ არის პანაცეა საქართველოსთვის და თუ მათი განხორციელება დაიწყება, აუცილებელი გახდება მტკივნეული ინსტიტუციური რეფორმების გატარება. მაგრამ ეს მოდელი საქართველოს გრძელვადიანი განვითარების

საუკეთესო მოდელია და, ალბათ, ერთადერთიც, რომელსაც საქართველოს სთავაზობენ. თუ ქართული მხარე აჩვენებს, რომ ამ პროცესისადმი მტკიცე ვალედბულებას კისრულობს, მაშინ ბრიუსელი უფრო მეტ პოლიტიკურ და ტექნიკურ დახმარებას უნდა შეჰპირდეს მას, რათა შეუმსუბუქოს მკაცრი რეგულაციებით გამოწვეული სიძნელეები. მიზნობრივი დახმარება საჭირო გახდება იმ სექტორებისთვის, სადაც რეფორმები ყველაზე რთული გასატარებელი იქნება. ეს განსაკუთრებით ითქმის სოფლის მეურნეობაზე. 2011 წლის სექტემბერში ევროკავშირმა დაიწყო ახალი, 31 მილიონი ევროს ($ 46 მილიონი) ღირებულების ყოვლისმომცველი ინსტიტუციური მშენებლობის პროგრამა საქართველოში 2011-2013 წლებისთვის. პროგრამის მიზანია, განამტკიცოს ისეთი სამთავრობო უწყებები, როგორიცაა საკვები პროდუქტების სტანდარტების ახალი სააგენტო. ეს კარგი დასაწყისია, მაგრამ უფრო მეტი დახმარება იქნება საჭირო საქართველოს ახალი ინსტიტუტებისთვის.

ეს სტრატეგია, რომელსაც შეიძლება „მეტი მეტის წილ“ ვუწოდოთ, ბრიუსელის გარდა, შეიძლება გამოიყენოს ვაშინგტონმაც, რომელზეც ამ ანგარიშში ბევრი არ გვისაუბრია. ამერიკის შეერთებული შტატები სააკაშვილის საქართველოსთვის ისევ უდიდესი მოკავშირე და დონორია, მაგრამ ის უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვინაიდან გავრცელებულია აზრი 2008 წლამდე არსებული ძალზე მჭიდრო ურთიერთობის რეჟიმიდან მისი სტრატეგიული უკანდახევის შესახებ. წარსულს თუ გადავავლებთ თვალს, აშშ-ის წინა ადმინისტრაციის მიერ საქართველოსთვის „დემოკრატიის შუქურის“ წოდება საუკეთესო შემთხვევაში გადაჭარბებულია, ხოლო უარესში – არაფრის მომცემი, უსარგებლო. მაგრამ ვაშინგტონის სიტყვას მნიშვნელობა არ დაუკარგავს; და მას შეუძლია უბიძგოს საქართველოს სწორი მიმართულებისკენ, თუ მართალ და შეულამაზებელ ვერდიქტს მიიღებს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ტენდენციებზე.

აქ მნიშვნელოვანია პირობების დაწესება – თუ საერთაშორისო მოთამაშეები ზედმეტად ლმობიერები იქნებიან საქართველოს მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომების ან დეკლარირებული მიზნების უგულებელყოფის მიმართ, რეალურად, საქართველოს შეცდომებზე მიმთითებელიც არ ეყოლება. საქართველოში ევროკავშირის ყოფილმა ელჩმა პერ ეკლუნდმა თავის გამოსვლაში თბილისში, 2010 წელს, დამაჯერებელი არგუმენტი მოიყვანა:

> „თქვენთვის ცნობილია, რომ საქართველო და ქართველი ხალხი ძლიერ მიყვარს... ჩვენ გავაგრძელებთ თქვენს დახმარებასა და მხარდაჭერას მთელი მონდომებით, აქამდეც ხომ ვასრულებდით ჩვენს დაპირებებს. თქვენ იცით, რომ ჩვენ გვიყვარხართ, მაგრამ ეს არ არის უპირობო სიყვარული. თქვენც უნდა შეასრულოთ თქვენი სიტყვა და დანაპირები.“[55]

დახმარება, რომელსაც გარკვეული პირობები მოჰყვება, ყველაზე სასურველი ფორმაა საქართველოსთვის, რათა მან განამტკიცოს და შეინარჩუნოს ბოლო წლებში გატარებული რეფორმები და აიცილოს საფრთხის შემცველი ტენდენციები, როცა მძიმე პერიოდი დაუდგება.

შენიშვნები

ეს ანგარიში მომზადდა საქართველოში 2010 წლის ნოემბერში და 2011 წლის თებერვალში და ბრიუსელში 2011 წლის მარტში ვიზიტების შემდეგ. თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული, ყველა ციტატა მოტანილია ავტორის მიერ ამ ვიზიტების განმავლობაში აღებული ინტერვიუებიდან. დიდ მადლობას მოვახსენებ კარნეგის უმცროს თანამშრომელს ჯეინ კიტაევიჩს ამ პროექტის სხვადასხვა ასპექტში გაწეული დახმარებისთვის, ასევე მადლობას ვუხდი დახმარებისთვის ქართველ მეგობრებსა და კოლეგებს, განსაკუთრებით კი სოფო ბუკიას და მარგარიტა ახვლედიანს.

1 თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, გამოკითხვის მონაცემები აღებულია *კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრების* (CRRC) „კავკასიის ბარომეტრის“ 2009–2010 წლების საქართველოს მონაცემებიდან. იხ. www.crrccenters.org/caucasusbarometer

2 სატელეფონო ინტერვიუ ლივნისთან, 2011 წლის 13 აპრილი.

3 სატელეფონო ინტერვიუ ბოკერიასთან, 2011 წლის 11 აპრილი.

4 “Saakashvili Vows Improvements with Drastic Measures,” *Civil Georgia*, January 25, 2004.

5 „სახალხო რევოლუციებიდან ეფექტურ რეფორმებამდე: საქართველოს გამოცდილება“, პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ბრუკინგსის ინსტიტუტში წარმოთქმული სიტყვის ჩანაწერი, ვაშინგტონი, აშშ-ს დედაქალაქი, 2011 წლის 17 მარტი.

6 საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა *საერთაშორისო გამჭვირვალობის* კორუფციის აღქმის ინდექსი. 2003 წელს მან (ათბალიანი შკალით) მხოლოდ 1. 8 ქულა მიიღო, ხოლო 2010წელს კი – 3.8. წყარო www.transparency.org/policy_research/surveys_indices/cpi/2010/results

7 “Georgia’s Mental Revolution,” *Economist*, August 19, 2010.

8. *საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო,* „საქართველოს ანტიკორუფციული ვალდებულებების მონიტორინგი“, 2010 წელი. წყარო http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/ENP_TI_Georgia.pdf.

9 „საარჩევნო კამპანიის ხარჯები“, *Civil Georgia*, 2010 წლის 15 ივნისი. *ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ* აგრეთვე 312,888 ლარი დახარჯა ამერიკული კვლევითი და სტრატეგიული საკონსულტაციო ფირმის *გრინბერგ ქვინლანდ როსნერის* მომსახურებაზე.

10 Ben Martin and Jack Jordan, “Georgia’s 1st Dollar Bond Since 2008 to Raise $500 Million,” Bloomberg, April 7, 2011.

11 Georgia cannot live on frog exports alone,” *Economist*, November 18, 2010, www.economist.com/blogs/easternapproaches/2010/11/georgias_economy.

12 საქმის დეტალური ანგარიშისთვის იხ. Paul M. Barrett, “Trapped in Tbilisi,” *Businessweek*, February 24, 2011.

13 საქართველო-ისრაელის ურთიერთობამ მორიგი დარტყმა მიიღო 8 აპრილს, როცა ისრაელის ელექტრონულმა ფირმამ *ელბითმა*, რომელმაც 2007 წელს საქართველო უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავებით მოამარაგა, განაცხადა, რომ $100 მილიონიანი დავალიანების გამო საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.

14 პაპავა ბევრი ნაშრომის ავტორია, მათი უმეტესობა არის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთებული კრიტიკა. ეს ნაშრომები შეგიძლიათ იხილოთ www.papava.info.

15 *საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო,* „ საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა“, 2010 წლის 9 ივნისი.

16 World Bank Investment Climate Advisory Services, “Georgia Manufacturing Sector Competitiveness Assessment,” May 2009.

17 „საგადასახადო ომბუცმენი – ბიზნეს გარემოს პრობლემები გაზვიადებულია“, *Civil Georgia*, 2011 წლის 21 მარტი. იხ. აგრეთვე ეკა გიგაური, ახალი საგადასახადო ომბუცმენი შეიძლება ინტერესთა კონფლიქტის წინაშე აღმოჩნდეს, 2011 წლის 3 თებერვალი.

18 „სააკაშვილი საქართველოს ეკონომიკის სამ ძირითად მიმართულებაზე“, *Civil Georgia*, თბილისი, 2010 წლის 8 ნოემბერი.

19 World Bank, “Georgia Poverty Assessment,” April 2009, 1, იხ. wwwds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/WDSP/IB/2009/04/29/000350881_20090429111740/Rend ered/PDF/444000ESW0P1071C0Disclosed041281091.pdf

20 რიცხვები მოყვანილია ევროკავშირის შიდასაუწყებო ანგარიშიდან, რომელიც ავტორს ჩაუვარდა ხელთ თბილისში.

21 „საქართველოს მთავრობა უნდა გადაიქცეს ‘აგრარულ მთავრობად’“, *Civil Georgia*, 2011 წლის 8 მარტი.

22 საქართველოს ღვინის მრეწველობის შესახებ იხ., Manana Vardiashvili, “One Brand and Many Problems,” *Liberali*, March 14, 2011.

23 David Goodhart, “Misha’s freedom laboratory,” Prospect, February 23, 2011, www.prospectmagazine.co.uk/2011/02/mikheil-saakashvili-interview-georgia-freedom-tblisi. გოდარტი წერს, „როდესაც სააკაშვილს საქართველო „ერთპარტიულ სახელმწიფოდ“ აღვუწერე, მას არ გაუპროტესტებია, მაგრამ საპასუხოდ მითხრა, თუ როგორ ცდილობენ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებლობაში დანერგონ BBC-სეული მიუკერძოებლობა“.

24 See Saakashvili’s interview with Charlie Rose on March 11, 2011, www.charlierose.com/view/interview/11538

25 2011 წელს რუსთავი 2-ის აქციების 70 პროცენტი ეკუთვნოდა *დეგსონ ლიმიტედს*, რომელიც რეგისტრირებულია ბრიტანეთის ვირჯინის კუნძულებზე. დანარჩენი 30 პროცენტი კი – *საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს*, კონგლომერატს, რომელიც დაარსებულია რობერტ ბეჟუაშვილის მიერ. ეს გახლავთ პარლამენტარი დავით ბეჟუაშვილის და საგარეო დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის გელა ბეჟუაშვილის მამა. მოგვიანებით უფროსმა ბეჟუაშვილმა წილი გადასცა მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებულ სხვა კომპანიას.

26 *საერთაშორისო კრიზისების ჯგუფი, საქართველო*: „სტაბილური მომავლის უზრუნველყოფა“, ევროპული პოლიტიკის მიმოხილვა ნომ. 58, 2010 წლის 13 დეკემბერი, 12.

27 ლაშა ტუღუში, „ მედიის ფინანსური თავისუფლება, მდგრადობისა და მენეჯმენტის პრობლემები და პერსპექტივები“, *USAID Georgia paper*, 2011 წლის აპრილი.

28 მაგალითად თედო ჯაფარიძის ამბავი გამოდგება. ის არის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, დასავლური ორიენტაციის კაცი, რომელსაც ბევრი მეგობარი ჰყავს ვაშინგტონში, მას შემდეგ, რაც შევარდნაძის დროს შვიდი წელი ელჩად მსახურობდა აშშ–ში. 2010 წლის ნოემბერში *იმედმა*, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, ჯაფარიძე რუსული იდეოლოგიის პროპაგანდაში დაადანაშაულა. ამ დროს მას ათენში *შავი ზღვის კვლევის საერთაშორისო ცენტრის* (ISBSS) ალტერნატიული გენერალური დირექტორის თანამდებობა ეკავა და დიპლომატიური სტატუსი ჰქონდა. ამ ორგანიზაციასთან დაკავშირებულმა ყველა ქვეყანამ, საქართველოს გარდა, მხრარი დაუჭირა ჯაფარიძის დარჩენას ამ თანამდებობაზე.

29 S. Neil MacFarlane, “Post-Revolutionary Georgia on the Edge?” Chatham House Briefing Paper, March 2011, 14.

30 ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა 2010 წელს პარლამენტარებს განუცხადა, რომ მას არ შეუძლია თქვას, რამდენი ჯდება პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობა, ვინაიდან ის ფინანსდება ქუთაისის მუნიციპალურ ბიუჯეტში გადარიცხული თანხით. ” პარლამენტის შენობას ქუთაისში აშენებენ რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში“, ეკა საათაშვილი, *Novosti Gruzii*, 2010 წლის 19 ნოემბერი. ჟურნალ ლიბერალში გამოქვეყნებული

სტატიაში ნათქვამია, რომ ორივე კომპანია, რომელიც აირჩიეს პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობისთვის, ეკუთვნის პროსამთავრობო სატელევიზიო არხის რუსთავი 2-ის ყოფილ ხელმძღვანელს. იხ. ქვემოთ შენიშვნა 37.

31 2011 წლის აპრილში *ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ* მკაცრად უსაყვედურა საქართველოს მთავრობას და 50 ათასი ევროს გადახდა დააკისრა სანდრო გირგვლიანის მამისთვის, რომლის შვილიც 2006 წელს პოლიციის თანამშრომლებმა წამებით მოკლეს. სასამართლომ დაასკვნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებულმა დაუსჯელობის პრაქტიკამ ხელი შეუშალა პოლიციის მიერ სათანადო გამოძიებას. სასამართლოს პრესრელიზში გირგვლიანის საქმის შესახებ წერია: „სასამართლომ განსაკუთრებული შეშფოთებით აღნიშნა, თუ როგორ ერთსულოვნად უშლიდნენ ხელს ამ შემზარავი მკვლელობის საქმეში სამართლის აღსრულებას საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა შტოები, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის მესვეურების, ადგილობრივი სასამართლოების და საქართველოს პრეზიდენტის ჩათვლით. იხ. "Georgian authorities did not investigate effectively the kidnapping and killing of 28-year old man," European Court of Human Rights press release, no 366, April 26, 2011, იხ. http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?action=open&documentId=884704&portal=hbkm&source=externalbydocnumber&table=F69A27FD8FB86142BF01C1166DEA398649.

32 საქართველოში 100 ათას კაცზე 538 პატიმარია; ხოლო საშუალოდ ევროკავშირში ოთხჯერ ნაკლები. ლონდონის *ქინგს კოლეჯის* მიერ შედგენილი სიის მიხედვით, მსოფლიოში პატიმართა ყველაზე დიდი ხვედრთი წილი აქვს: აშშ-ს, რუსეთს, სენტ-კიტს, ნევიას და რუანდას. იხ. King's College London, World Prison Brief, www.kcl.ac.uk/depsta/law/research/icps/worldbrief/wpb_stats.php?area=all&category=wb_poprate

33 „უზენაეს სასამართლოსთან გამართული აქციის მონაწილეები დააკავეს". *Civil Georgia*, 2011 წლის 5 აპრილი.

34 *საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო*, „ საპროცესო შეთანხმება საქართველოში: სამართლისთვის ვაჭრობა", 2010 წლის 15 დეკემბერი, 23, http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Plea%20Bargaining%20in%20Georgia%20- %20Negotiated%20Justice.pdf.

35 „საბოლოო მოსაზრება კონსტიტუციურ კანონპროექტზე დამატებები და ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში'". ვენეციის კომისია, 2010 წლის 15-16 ოქტომბერი, 86-90 პარაგრაფები.

36 ანგარიშში ვკითხულობთ: „კორუფცია მაღალ ეშელონებში კვლავ პრობლემად რჩება. დამკვირვებლებს მიაჩნიათ, რომ ოფიციალური ანტიკორუფციული კამპანია მეტ ყურადღებას უთმობს გასამართლებას, ვიდრე პრევენციას. ის უფრო არასტრუქტურულია, ვიდრე სისტემური და ერთიანი. შეშფოთებას იწვევს ისეთი სფეროები, როგორიცაა დემოკრატიული ინსტიტუტები, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა საჯარო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, საკუთრების უფლება და ელიტარული კორუფცია." იხ. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, "Human Rights Report on Georgia, 2010," www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/2010/eur/154425.htm

37 „რამ შეჭამა ქართული ბიზნესი?", *ლიბერალი,* N63, 2011 წლის 12-25 თებერვალი.

38 იხ. შესანიშნავი კვლევა, რომელმაც გარკვეულწილად გადამაწყვეტინა ამ ანგარიშის დაწერა: "Reinventing Georgia: The Story of a Libertarian Revolution, European Stability Initiative, April, 2010"; www.esiweb.org/index.php?lang=en&id=322&debate_ID=3

39 „სააკაშვილი: საქართველო – შვეიცარია სინგაპურის ელემენტებით" , *Civil Georgia,* 2010 წლის 9 მარტი.

40 ნაწყვეტი ამოღებულია ბრუკინგსის ინსტიტუტში ჩატარებული შეხვედრის (2011 წლის 17 მარტს) ვიდეოჩანაწერიდან. იხ. www.brookings.edu/events/2011/0317_saakashvili.aspx.

41 პროფკავშირების შეხედულების შესახებ იხ. International Trade Union Confederation, Georgia: Labor Code Tears Fundamental Rights to Shreds, May 2008; იხ. www.ituc-csi.org/IMG/pdf/VS_georgia_EN.pdf

42 თურქეთი არ არის პროგრამის ნაწილი, რადგან ის ევროკავშირის წევრობის კანდიდა-

ტია. რუსეთი არ არის ამ ჯგუფში საკუთრი პრიორიტეტების გამო, მას აქვს განსხვავებული სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობა ევროკავშირთან.

43 ამონარიდი ბრიუსელის ფორუმზე გაკეთებული შენიშვნებიდან, 2011 წლის 26 მარტი, ევროპული სამეზობლოს პოლიტიკის სესია, იხ., http://brussels.gmfus.org/wp-content/uploads/2010/11/The-European-Neighborhood-Policy_Mar26.pdf.

44 Caucasus Research Resource Centers, 2009, 2010 Caucasus Barometer, იხ. www.crrccenters.org/caucasusbarometer.

45 მიშა თავხელიძე, „მაშასადამე“, ტაბულა, 2010 წლის 7 ივნისი; იხ. www.tabula.ge/article-1479.html

46 მსოფლიო ბანკი, მაისი, 2009. “Georgia Manufacturing Sector Competitiveness Assessment,” May 2009, იხ. www.ifc.org/ifcext/georgiasme.nsf/AttachmentsByTitle/2GeorgiaManufacturingSectorCompetitivenessAssessmentExeSumEng/$FILE/2GeorgiaManufacturingSectorCompetitivenessAssessmentExeSumEng.pdf

47 მარილა მალიშევსკა, რედ., Economic Feasibility, General Economic Impact and Implications of a Free Trade Agreement Between the European Union and Georgia, Final Report (ევროკავშირსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ეკონომიკური მიზანშეწონილობა, ზოგადი ეკონომიკური ზეგავლენა და შედეგები; დასკვნითი ანგარიში; Center for Social and Economic Research (სოციალური და ეკონომიკური კვლევების ცენტრი, 2008 წლის 8 მაისი, 113).

48 პროგრამის განხორციელების შესაძლებლობის შესახებ ჩატარებული კვლევის ერთ-ერთ ავტორს მოჰყავს ციტატა ბრიტანეთის ორგანიზაციის (CARIS) ანგარიშიდან, რომ საქართველოს მიერ ევროკავშირის შეღავათების (პრეფერენციების) ზოგადი სისტემის (GSP+) გამოყენების დონე უახლესი მონაცემების მიხედვით რეალურად ძალიან მაღალია. თუ ეს მართალია, მაშინ თავისუფალი ვაჭრობის მარტივი შეთანხმება, რომელიც უბრალოდ ტარიფებს ხსნის, საქართველოს არ მისცემს მეტ საგრძნობ სარგებელს და ამიტომ უფრო ამბიციური სავაჭრო შეთანხმების გაფორმება გახდება საჭირო.

49 საკვები პროდუქტებით მოწამვლის შესახებ მონაცემები ძნელად მოიპოვება საქართველოში, მაგრამ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ ანგარიშში დაწერა, რომ ბაქტერიული კვებითი მოწამვლის შემთხვევების რაოდენობამ იმატა საქართველოში და 2007 წლისთვის 2 035 შემთხვევას მიაღწია, მაშინ, როცა 2007 წელს მხოლოდ 408 შემთხვევა იყო დაფიქსირებული.

50 Olga Shumylo-Tapiola, “EU and Ukraine: Trade Is Not the Main Issue”, New Europe, issue 930, April 10, 2011; იხ. 2011, www.neurope.eu/articles/105783.php

51 არასათანადო საკომუნიკაციო სტრატეგიის დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ ევროკავშირის ოფიციალურ წარმომადგენლებთან უამრავი შეხვედრის მიუხედავად, ავტორმა ფირზე ვერ ჩაიწერა რანგით უფროსი ოფიციალური პირის საუბარი ამ ანგარიშისთვის.

52 სააკაშვილმა ბევრი დაპირება მისცა მოსახლეობას, რომელიც ვერ შეასრულა. მაგალითად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოში რეინტეგრაცია და პენსიების გაზრდა 100 აშშ დოლარამდე მისი პრეზიდენტობის პირველი ვადის პერიოდში.

53 იხ. სალომე მოდებაძე, ”You Will Not Get Your Land Back Soon, Says Estonian President”, Messenger Online, 2010 წლის 22 იანვარი.

54 იხ. Kaja Tael, ed.; “Estonia’s Way into the European Union”, ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ტალინი, 2009.

55 საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, ელჩის პერ ეკლუნდის სიტყვები ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან დაკავშირებული კონფერენციის გახსნაზე. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/press_corner/all_news/news/2010/20100212_01_en.htm

ავტორის შესახებ

თომას დე ვაალი არის კარნეგის ფონდის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების უფროსი სპეციალისტი, რომელიც განსაკუთრებით დაინტერესებულია სამხრეთი კავკასიის რეგიონის ქვეყნებით აზერბაიჯანით, საქართველოთი, სომხეთით და მათი სეპარატისტული ტერიტორიებით, ისევე როგორც შავი ზღვის ფართო რეგიონით. მისი ბოლო წიგნია *„კავკასია – გაცნობა“*.

დე ვაალი ბოლო ოცი წლის განმავლობაში იყო მწერალი, ჟურნალისტი და ანალიტიკოსი რუსეთისა და კავკასიის საკითხებზე. მას ორჯერ მოუწია მუშაობამ ლონდონში BBC-ში (საერთაშორისო საინფორმაციო სამსახური). 1993-დან 1997 წლამდე რუსეთში *Moscow Times*-ის, *Times of London*-ისთვის და *Economist*-სთვის ჩეჩნეთში მომზადებული სტატიები გააერთიანა და კარლოტა გალთან ერთად გამოსცა ნაშრომი *„ჩეჩნეთი – უბედურება კავკასიაში“*. 2003 წელს გამოსცა ავტორიტეტული წიგნი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე, *„შავი ბაღი – სომხეთისა და აზერბაიჯანის ომი და მშვიდობა“*, რომელიც ითარგმნა სომხურად, აზერბაიჯანულად და რუსულად.

2003-2009 წლებში მუშაობდა სამხრეთი კავკასიის კონფლიქტებზე ანალიტიკოსად და პროექტის მენეჯერად ლონდონის არასამთავრობო ორგანიზაციებში *შერიგების რესურსები* (Conciliation Resources) და *ომისა და მშვიდობის ინსტიტუტში* (Institute for War and Peace Reporting). თომას დე ვაალმა 2010 წელს კარნეგის ფონდში დაიწყო მუშაობა მან ოქსფორდის უნივერსიტეტში შეისწავლა რუსული და თანამედროვე ბერძნული.

კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდი

კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდი არის კერძო, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია გააღრმაოს თანამშრომლობა ერებს შორის და დაეხმაროს აშშ-ს აქტიურ საერთაშორისო ჩართულობას. ის დაარსდა 1910 წელს და მოქმედებს მიუკერძოებლად და ცდილობს მიაღწიოს პრაქტიკულ შედეგებს.

დაარსებიდან ასი წლის თავზე კარნეგის ფონდი არის ყველაზე დაწინაურებული გლობალური კვლევითი ცენტრი, ოფისებით ვაშინგტონში, მოსკოვში, პეკინში, ბეირუთსა და ბრიუსელში. ეს ხუთი ქალაქი არის მსოფლიო მმართველობის ცენტრი, რომელთა პოლიტიკური განვითარება და საერთაშორისო სტრატეგია ყველაზე მეტად განსაზღვრავს უახლოესი დროის მსოფლიო მშვიდობისა და ეკონომიკური პროგრესის ალბათობას.

მას შემდეგ რაც ცივი ომი დამთავრდა, *კარნეგისეული* რუსეთისა და ევრაზიის პროგრამა არის წამყვანი შემდეგ სფეროებში: ევრაზიის უსაფრთხოება (სტრატეგიული ატომური იარაღის და გაუვრცელებლობის საკითხების ჩათვლით), განვითარება, ეკონომიკური და სოციალური საკითხები, მმართველობა და კანონის უზენაესობა.

WASHINGTON DC ▪ MOSCOW ▪ BEIJING ▪ BEIRUT ▪ BRUSSELS

THE GLOBAL THINK TANK

CARNEGIE ENDOWMENT
FOR INTERNATIONAL PEACE

CarnegieEndowment.org